სამშობლო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№№ 10-11 (231-232) გამოცემის მე-13 წელი • 1969 წლის 31 დეკემბერი

გილოცავთ ახალ, 1970 წელიწადს!

ძვირფასო თანამემამულენო!

გაზეთ „სამშობლოს“ მკითხველნო!

გილოცავთ ახალ წელიწადს!

მრავალს დაესწარით, მრავალჟამიერ გიბედნიეროთ თქვენი სამშობლო — საქართველო!

მიიღეთ ეს მილოცვა, როგორც მეკვლე — საქართველოდან წარმოგზავნილი.

მეკვლე ხომ ახალი წლის მახარობელია, ოჯახში კეთილი ფეხით შემოსული, მრავლის აღმთქმელი და იმედის გამღვიძებელი, ტკბილმოუბარი და დამპირებელი. თქვენც იმედი ნუ მოგეშლოთ, გულშიც იმედი გიღვივოდეთ და ოჯახშიც სიტკბო არ მოგაკლდეთ!

ასე ამბობდნენ ძველად საქართველოში.

ასე ამბობენ ახლაც.

შემოდგამს ოჯახში ფეხს კეთილი მეკვლე, დარბაისლურად ჩამოჯდება, კერაზე ცეცხლს გააღვივებს, ალერსს არ დააკლებს დიდსა და პატარას, მერე იმედიანად გახედავს ხვალინდელ დღეს და ინატრებს:

ამდენი სიკეთე,

ამდენი ბედნიერება,

ამდენი სახლ-კარი,

ამდენი ძე და ასული,

ამდენი ქალაქ-სოფელი,

ამდენი ვენახი,

მინდორი და სახნავ-სათესი...

მეკვლეს ნატვრას უერთდება კერიდან ასული უთვალავი ნაპერწკალი. და ჩვენც გისურვებთ უთვალავ სიკეთეს, ბედნიერებასა და სიხარულს.

საახალწლოდ უფრო კარგს რას გახარებთ, თუ არა თქვენი სამშობლო საქართველოს დღეგრძელობასა და წინსვლას, აყვავებასა და განახლებას. ქართველი კაცი დღეს თავის ნატვრას ალალ შრომას აშველებს და მისი მარჯვენით იქმნება ახალი სოფლები და ქალაქები, ფაბრიკა-ქარხნები და ელსადგურები, სახლები და სასახლეები... ასე იყო წინა წლებში, ასე იყო წლეულსაც.

გავაცილეთ ეს წელიწადი, მადლიერებით დავლოცეთ და გვახარებს, რომ ქართველი კაცის მთელი წლის შრომა სიამაყით ლაპარაკის უფლებას გვაძლევს.

მუშამ კარგი ნახელავით ასახელა სამშობლო.

გლეხმა მიწის ბარაქით...

ახალგაზრდამ ჩინებული სწავლით.

შეიქმნა მრავალი სიმღერა, მხატვრული ტილო, დაიწერა ახალი ლექსები, რომანები, მოთხრობები.

დაიდგა კინოფილმები და წარმოდგენები.

დამყარდა ახალი სპორტული რეკორდები.

ყველაფერი ეს მთელი წლის დოვლათია და ამაზე მოგვითხრობს ახალი წლის მეკვლე.

მადლიერებით ვაცილებთ ძველ წელიწადს და იმედით ვუყურებთ მომავალს.

დაე, 1970 წელი მშვიდობიანი ყოფილიყოს დედამიწაზე მცხოვრები ყველა ხალხისათვის.

თქვენთვისაც, ჩვენო თანამემამულენო!

თქვენც შეგეტანოთ საკუთარი წვლილი დედასამშობლოს შემდგომ წინსვლაში, ქართული კულტურის განვითარებაში.

მრავალჟამიერ გებედნიეროთ!

მრავალჟამიერ გიცოცხლოთ სამშობლო!

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმი.



ახალი წელიწადი მობრძანდება...

თენგიზ სამსონაძის ნახატი

ირაკლი აბაშიძე

ახალწლის დილას გილოცავს

შვილო, ახალწლის დილას გილოცავს
ჩვენი მტკვარი და ჩვენი ფაზისი,
ჩვენი სამშობლოს ცა უტკბილესი,
ყველა ნატვრაზე უძვირფასესი.
ჩვენი არაგვი, ჩვენი იორი,
ჩვენი ალაზნის ზვირთის თამაში,
მათი სიმღერა ტკბილმშობლიური
არ დაივიწყო სხვის ქვეყანაში.


„სამშობლო“ ულოცავს

პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძეს, რომელიც საბჭოთა ლიტერატურის დარგში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამ დღეებში ლენინის ორდენით დააჯილდოვა.



მრავალ ახალ წელს, მეგობრებო!

რჩეულთა ფიქრებში



25-26 დეკემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია.

სესიამ განიხილა 1970 წლის საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის ზრდის საარსებო პრობლემები.

პირველ საკითხზე — **საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1970 წლის სახელმწიფო გეგმა** — მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე, დეპუტატი **ერმალო ჯაფარიძე.**

მეორე საკითხზე — **საქართველოს სსრ 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება** — საქართველოს ფინანსთა მინისტრი, დეპუტატი **არჩილ ჭირაქაძე.**

მესამე საკითხზე — **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი, დეპუტატი **ზინაიდა კვაჭაძე.**

მოხსენებათა გამო გაიმართა საქმიანი კამათი. დეპუტატებმა წამოაყენეს ბევრი საყურადღებო წინადადება, რომლებიც მიზნად ისახავენ გაიაღ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამის წარმატებით განხორციელებას. მათ აღნიშნეს, რომ ვლადიმერ ლენინის დაბადების 100 წლისთავის მოახლოებასთან დაკავშირებით საჭიროა კიდევ უფრო გაძლიერდეს საყოველთაო-სახალხო შეჯიბრება, დაწესდეს საზოგადოებრივი კონტროლი საიუბილეო წლისათვის ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაზე.

დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს კანონი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1970 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ და კანონი საქართველოს სსრ 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, დაამტკიცეს საქართველოს 1968 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

საახალწლო ნობათები

ოპერა ჭუთაისში

27 დეკემბერს დიდი ზეიმი ჰქონდათ ჭუთაისელ მშრომელებს. აქ, თეატრალური ტრადიციების უძველეს ქალაქში, გაიხსნა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ფილიალი.

ოპერის ფილიალის გახსნის დღეს თეატრის წინ, ქალაქის მთავარ ბაღში საფუძველი ჩაეყარა ზაქარია ფალიაშვილის ძეგლს.

ფეხბედნიერი იყოს ახალი მუსიკალური კერის დაბადება!

(დაწვრილებითი ცნობები ოპერის ფილიალის გახსნაზე იხილეთ ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში).

ჰიათურელთა წარმატება

სპორტსმენის ტრესტის ჰიათურის სამმართველომ ვადამდე თვენახევრით ადრე გაანაღდა წლიური დავალება. შესრულებულია 3.213 ათასი მანეთის სამუშაო.

იკრიფება ციტრუსები

„ოქროს რთველი“ აქვთ აბარელ მეციტრუსეებს. იკრიფება მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი... მიმღები პუნქტები ვერ აუდიან მოზღვავებული ციტრუსების მიღება-დახარისხებას. მათ შორის, ვისაც ბარაქიანი რთველი დაუდგა, არიან ბათუმის რაიონის სოფელ ხელვაჩაურის მეციტრუსეები. მათ გადაწყვეტილი აქვთ სახელმწიფოს მიჰყიდონ 335 ტონა მანდარინი, რაც 50 ტონით მეტია, ვიდრე თავიდან იყო გათვალისწინებული.

ციტრუსის უხვ მოსავალს იღებენ სოფელ ანისის კოლმეურნეებიც. აქ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი მესამე ბრიგადის მეციტრუსე ჟუჟუნა ჯიჯავაძემ, რომელიც ყოველდღიურად 200-250 კილოგრამ მანდარინს კრეფს.

შრომა დაუფასდათ ქობულეთის რაიონის მეციტრუსეებსაც. აქაც წარმატებით მიმდინარეობს „ოქროს რთველი“. 8 დეკემბრისათვის რაიონში მოკრეფილი იყო 14.464 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი.

ძვირფასი ნადნობი

ოგბილისის ფოლად-თუჯსასხმელი ქარხნის კოლექტივმა ვადაზე 21 დღით ადრე შეასრულა წლიური დავალება. გათვალისწინებული 8 მილიონ 590 ათასი მანეთის ნაცვლად რეალიზებულია 8 მილიონ 606 ათასი მანეთის პროდუქცია. ქარხანამ ამოცანად დაისახა წელიწადის დამლევამდე სახელმწიფოს მისცეს 400 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

ბუნებრივი გაზი — საგარეჯოში!

საგარეჯოელმა მშრომელებმა საახალწლოდ კარგი საჩუქარი მიიღეს. წარმატებით დამთავრდა რუსთავ-საგარეჯოს გაზის მაგისტრალის მშენებლობა და მეღვინეობის რაიონში, პირველად სწორედ ღვინის ქარხანაში, აინთო ბუნებრივი გაზი. საგარეჯოელებისათვის გაზი უცხო არ იყო. აქ მოსახლეობის უმრავლესობა თხევადი საწვავით სარგებლობდა. მაგრამ ბუნებრივი გაზის მაგისტრალის გაყვანა დიდად გაზრდის მომხმარებელთა რიცხვს.

მალე დაიწყება ბუნებრივი გაზის გაყვანა საგარეჯოს რაიონის სოფლებშიც.

ნორჩი ტურისტებისათვის

30 დეკემბრიდან 9 იანვრამდე მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების პერიოდში ეწყობა ტურისტული მგზავრობა „კავკასიონის ირგვლივ“ მარშრუტით — სოხუმი-კისლოვოდსკი-პიატიგორსკი-დერბენდი - ბაქო-ერევანი - თბილისი-სოხუმი.

საგზურის ღირებულებაა 60 მანეთი. აქედან 12 მანეთი გადაირიცხება სოციალური დაზღვევის ფონდიდან, 24 მანეთი—პროფესიული კავშირებიდან, ხოლო დანარჩენი 24 მანეთი შეაქვთ მშობლებს.

პროფკავშირების აფხაზეთის საოლქო საბჭოს ეს თაოსნობა საშუალებას მისცემს ბავშვებს შინაარსიანად დაისვენონ.

ღია კონკურსი

ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გამოაცხადა ღია კონკურსი ძეგლის შესაქმნელად, რომელიც ამ უძველეს ქალაქს მიეძღვნება.

საუკეთესო პროექტებისათვის დაწესებულია სამი ფულადი პრემია. უკანასკნელი ვადა ძეგლის პროექტის წარსადგენად დადგენილია 1970 წლის 1 ივნისი.

ჟიურის შემადგენლობაში არიან პოეტი გრიგოლ აბაშიძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ვახტანგ ბერიძე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ლევან სანიკიძე, არქიტექტორი სიმონ კინწურაშვილი და სხვები.

მონუმენტი დაიდგმება ქუთაისის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე.

საახალწლო ნობათები

საახალწლო მოლოცვები



ასოფლიოს ყველა კუთხეში მცხოვრებო ძვირფასო თანამემამულენო გიგზავნით მხურვალე საახალწლო სალამს და საუკეთესო სურვილებს. დაე, ამ ახალ წელიწადს ყველა თქვენგანისათვის მოეტანოს მშვიდობა და ბედნიერება.

ლეილა აბაშიძე,
რესპუბლიკის სახალხო არტისტი.



თელიანის წითლით სავსე ფიალითა, გოზინაყითა, თათარა-ფქლამუშითა და ოთხჯერ ამოვლებული ჩურჩხელებით გილოცავთ ახალ წელიწადს!

დაე, იგი სავსე იყოს თქვენთვის სითბოთი და სიტკბოთი.

დაე, თქვენი პირველი სადღეგრძელო დედასამშობლოს მიეძღვნას!

დაე, დღეგრძელობდნენ თქვენი შვილები, შვილიშვილები, მათი შვილები...

არ მოშლილიყოს მათი გრძნობა და სიყვარული დედასამშობლოსადმი.

იმრავლეთ, იბედნიერეთ!

ვასო გოძიაშვილი,
საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი.



ედამიწაზე ახალი წელიწადი მზის სათვალავს აღმოსავლეთით ამოჰყვება, დასავლეთით გადაინაცვლებს და ჩვენს ცთომილს ნატვრის ქამრად შემოევლება...

ეს დღე-დამე სრულიად საკაცობრიო ოცნებებისა და მოლოცვების ჟამია! ყველა გულისხმიერობს... იმედითა და სისხარულით ეგებება მომავლის თარიღს!

...მიუხედავად ამ საერთო ნიშნისა — ქვეყნად, ყოველ წელიწადს, იმდენი ახალი წელიწადია, რამდენიც ადამიანია დედამიწაზე... და მაინც, ძირითადად, ერისა და მის შვილთა ქუდბედი განუყრელია! თაობები და თარიღები ცვლიან ურთიერთს — სამშობლო კი რჩება, ყველაფერს იკრებს! მის ძეთა და ძეთა საოცნებო საყუდელი, გამოსავალი და მისავალი, საბოლოოდ მაინც აქ არის!


დაე, ბედნიერი შემოქმედება და საერთო მშვიდობა იყოს საახალწლო გზების მსაზღვრელი!

ახალ, 1970 წელს გილოცავთ შინა და გარე ქართველნო!

გულით გისურვებთ კეთილდღეობას!... დაე, სადაც ხართ, ყველგან გწვდებოდეთ მშობლიური სიტყვა, მზე და მერცხლები!

ლევან გოთუა,
მწერალი.

მასპინძლები, როგორიც მე მყავს...



თამარ დრაგაძე. დავით იაკობაშვილის ფოტო.

ინგლისში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე მწერლის თამარ დრაგაძის სახელი ფართო მკითხველისათვის ამ რამდენიმე წლის წინათ გახდა ცნობილი. მისი პირველი რომანი — „ცეცხლზე შედგმული რძესავით“, რომელიც ლონდონის გამომცემლობა „ჩატო ენდ უინდუსმა“ გამოუშვა, მკითხველმა ინტერესით მიიღო. 21 წლის ასაკში დაწერილი წიგნი, რომელიც ყველას მოსწონს, შემოქმედის დიდ შესაძლებლობაზე მიგვითითებს.

თამარი ბევრს მოგზაურობს. შარშან საქართველოსაც ეწვია. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ — ფრთები შეესხა ყველაზე დიდ და სანუკვარ ოცნებას.

ამ ერთი თვის წინათ ჯვლავ ჩამოვიდა თბილისში. ამჟამად არა როგორც ტურისტი, არამედ — თბილისის უნივერსიტეტის ასპირანტი. დიახ, ინგლისში უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ თამარმა საქართველოს მოაშურა და ახლა ქართველ პროფესორ-მასწავლებელთა დახმარებით იღრმავებს ცოდნას.

თამარ დრაგაძე „სამშობლოს“ რედაქციას ესტუმრა და სიამოვნებით გასცა პასუხი ჩვენი კორესპონდენტის რამდენსამე შეკითხვას.

თუ შეიძლება, ცოტა რამ თქვენი ბიოგრაფიიდან.

დავიბადე ინგლისში 1943 წელს. 7 წლის ასაკში ოჯახთან ერთად გადავედი პარიზში, შემდეგ ცხოვრება მიხდებოდა მადრიდში. 18 წლისა კი, ძმასთან ერთად, საცხოვრებლად გადავედი იტალიაში. ერთხანს ესპანეთშიც ვცხოვრობდი. შემდეგ კვლავ ინგლისში დავბრუნდი. 21 წლისამ გამოვაქვეყნე წიგნი, რომელსაც ორ წელიწადს ვწერდი. დავამთავრე კენტის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ცოდნის ფაკულტეტი. მყავს ორი ძმა — უფროსი პეტრე ჟურნალ „ლაიფის“ კორესპონდენტია იტალიაში, ხოლო ივანე — ბალეტის მოცეკვავე. იგი სულ ახლახან დაბრუნდა შეერთებული შტატებიდან, სადაც ორ წელიწადს გამოდიოდა ამერიკის ეროვნული ბალეტის მიწვევით.

სიმართლე გითხრათ, თეატრი მეც მიტაცებდა. ერთხანს კიდეც ვსწავლობდი ინგლისის სამეფო სამხატვრო-დრამატულ თეატრთან არსებულ სკოლაში, მაგრამ. როგორც ხედავთ, ჩემგან მსახიობი არ გამოვიდა.

ქართულ ენაზე საუბარს, ძნელად, მაგრამ მაინც ახერხებთ. თქვენმა ძმებმა თუ იციან ქართული?

სამწუხაროდ, არა.

როდის იარწმუნეთ თქვენი ქართველობა?

— ბავშვობიდანვე. დედაჩემი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მიყვებოდა მშობლიურ მხარეზე. სხვათა შორის, უკვე 7 წლისა, პარიზში შოთა აბაშიძის ხელმძღვანელობით ვსწავლობდი ქართულ ცეკვებს. ყველაფერი, რაც საქართველოს ეხებოდა, წლების განმავლობაში ჩემში უფრო და უფრო დიდ ინტერესს იწვევდა. როდესაც ინგლისში სუხიშვილისა და რამიშვილის ანსამბლი ჩამოვიდა, მე მათ ყველა კონცერტს დავესწარი. მაშინ კი დარწმუნდნენ ინგლისელი მეგობრები, რომ იმ ქვეყანაში, სადაც ჩემი დედ-მამა დაიბადა, ყველაზე ლამაზი ხალხი ცხოვრობს.

როგორია თქვენი უახლოესი მიზნები?

— გავთბე ქართული მზით, სრულყოფილად შევისწავლო ქართული ენა. შევიგრძნო საქართველო. მაქვს უფრო ფართო გეგმებიც. ახალგაზრდა ვარ და ჩემი ენერგია ჩემი ხალხის სამსახურს მინდა მოვახმარო.

დაწეროთ წიგნი საქართველოზე?

რატომაც არა. მინდა ინგლისელ მკითხველს შევუქმნა წარმოდგენა ამ თვალწარმტაც ქვეყანაზე.

ვისი მოწვევით ჩამოხვედით საქართველოში?

უნივერსიტეტისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების მოწვევით.

იწურება 1969 წელი. რომელი დღე იყო თქვენთვის ამ წელიწადში ყველაზე დასახსომებელი?

— რომელი? ასეთი 5 დღე მქონდა. პირველი. ეს იყო 14 ივნისი, როდესაც საქართველოდან მივიღე დეპეშა თბილისის უნივერსიტეტის ასპირანტურაში ჩარიცხვის შესახებ; მეორე, 11 ივლისი. ეს იყო დღე, როდესაც მე და ჩემი მეგობრები უნივერსიტეტის დამთავრების ცერემონიალზე მიგვიწვიეს; შესამე დღე 14 ივლისი გახლდათ, — შევხვდი ჩემს ძმას პეტრეს, რომელიც მთელ წელიწადს არ მენახა: მეოთხე დღე 17 ოქტომბერია, — ამერიკიდან ჩამოვიდა ჩემი მეორე ძმა ივანე, რომელიც, როგორც ადრე ვთქვი, ორი წლით იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში და, ბოლოს, ალბათ ჩემთვის ყველაზე დასახსომებელი დღე 1969 წელს 27 ნოემბერი იყო. ამ დღეს ფეხი დავადგი ღედათბილისის მიწას

ამჟამად თუ მუშაობთ რაიმე წიგნზე?

— გეგმები საკმაოდ დიდი მაქვს, მუშაობას, ალბათ, ცოტა მოვკიანებით შეუდგები.

თქვენი საყვარელი მწერალი?

ერთის გამოყოფა მიჭირს. ვეთაყვანები შექსპირს, რუსთაველს, ბოდლერს, გამსახურდიას...

თქვენი გატაცება?

ფეხით სიარული.

საქართველოში თუ გყავთ მეგობრები?

ძალიან ბევრი. მედეა კინწურაშვილი, მანონ ნიჟარაძე, მარინე სვანიძე, გურამ ფანჯიკიძე, ვენერა ურუშაძე, ნიკო ყიასაშვილი, სერგი და ხინო წულაძეები... სულ ცოტა 100 კაცის ჩამოთვლა შემიძლია.

კიდევ რამდენიმე დღე და თქვენ სიცოცხლეში პირველად ახალ წელიწადს საქართველოში შეხვდებით. გაღელვებთ ეს?

ძალიან, მაგრამ დიდ სიხარულს ნაღველიც ახლავს. ჩემი ძმები, რომლებზეც ახლობელი არავინა მყავს, ჩემგან ასე შორს არიან.

რას უსურვებთ „სამშობლოს“ მკითხველებს, უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს?

სადაც უნდა იკვნენ, ჰყავდეთ ისეთი მასპინძლები, როგორიც ახლა მე მყავს.

ჩვენი ინტერვიუ

ერთი რომელიმე მარშრუტის დასახელება ან საქართველოში ტურისტებისათვის „ყველაზე საყვარელი კუთხის“ გამოყოფა ძალზე ძნელია.

მაგალითად, ამერიკელი ტურისტი ბატონი ბრილი სოხუმის ხილვით დარჩა მოხიბლული, ხოლო ბათუმში სტუმრად მყოფი საფრანგეთის ელჩ ბატონ ჟორმსერ ოლივარს ამ ქალაქის განუმეორებელმა ეგზოტიკამ მოუტანა ყველაზე დიდი სიამოვნება.

— თქვენს ახალგაზრდებს ფართო ჰორიზონტი აქვთ. ისინი მდიდარი არიან სულიერად, მათ აქვთ მიზანი, — განაცხადა საქართველოში მოგზაურობის შემდეგ ინგლისელმა ტურისტმა, კომპოზიტორმა ერნსტ ბაუერმა.

ჩვენ გავატარეთ გაგრაში 14 დაუვიწყარი დღე, სანატორიუმ „საქართველოს“ კოლექტივს უღრმესი მადლობა, — ჩაწერის შთაბეჭდილების წიგნში ჩეხოსლოვაკიელმა ტურისტებმა...

კიდევ ჩამოვალთ თქვენთან, — გვეუბნებოდნენ სამშობლოში გამგზავრების წინ ავსტრიელი ტურისტები.

რა და რა სახის ტურიზმია საქართველოში?

ჩვენთან ტურისტები უმთავრესად დასასვენებლად და სამკურნალოდ ჩამოდიან. თანდათანობით პოპულარული ხდება ავტოტურიზმი. გასულიდან კი ტურისტები ეწვევიან სვანეთს ალპინისტური ლაშქრობისათვის.

რას იტყვით სამონადირეო ტურიზმზე?

საქართველოში ტურიზმის ეს სახე ჯერჯერობით დანერგილი არ არის. ტურისტული საგზურით ჩამოსულ მონადირეებს მასპინძლობას უწევს აზერბაიჯანი და ჩრდილო ოსეთი. ზამთარში უცხოელ მონადირეებს ყველაზე მიკად დათვზე ნადირობა იტაცებთ, რომელიც ირკუტსკის მხარეში ცხოვრობს.

რას ჰპირდებით ტურისტებს 1970 წლისათვის?

საკმაოდ ბევრს. დღემდე არსებულ მარშრუტებს დამატება კიდევ ერთი, ჩრდილო ჯავახეთიდან ქლუხორის უღელტეხილის გავლით ტურისტები ჩავლენ სოხუმში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისინი ეწვევიან სვანეთსაც და იქ მონაწილეობას მიიღებენ ალპინისტურ ასვლებში. ვაპირებთ თეატრალური წარმოდგენების გამართვას უშუალოდ ისტორიულ ადგილებში. 1970 წელს დამთავრდება მოტოორტელის მშენებლობა თბილისის ზღვაზე. გავაფართოებთ სუვენირების ასორტიმენტს...

— როდესაც მომავლის გეგმებზე ვლაპარაკობთ, ყველაზე მთავარი მაინც ის მშენებლობებია, რომლებსაც ამჟამად ვაწარმოებთ. ერთდროულად შენდება თითქმის 10 მრავალსართულიანი სასტუმრო, მათ შორის 22-სართულიანი თბილისში, 17-სართულიანი — ჭობულეთში, 26-სართულიანი — სოხუმში, 11-სართულიანი — თელავში. ცათამბჯენები აშენდება ბათუმში, გაგრაში, ოჩამჩირეში, შორს არ არის ის დღე, როდესაც საქართველო ყოველწლიურად ნახევარ მილიონ ტურისტს მიიღებს.

და, ბოლოს. ტრადიციული კითხვა: რას უსურვებდით „სამშობლოს“ მკითხველებს 1970 წლისათვის?

ტრადიციულ კითხვას ტრადიციული პასუხი აქვს: ბედნიერებას, ჯანმრთელობას და კიდევ ერთს — გაისად სხვებთან ერთად, საზღვარგარეთ მცხოვრები ვეჯი თანამემამულე ეწვიოს საქართველოს.

შედეგები, პერსპექტივები

ყოველწლიურად ათასობით ადამიანი მიემგზავრება ტურისტული საგზურით უცხოეთის ქვეყნებში. თვის მხრივ, ჩვენი ქვეყანაც ფართოდ უღებს კარს უცხოელ სტუმრებს.

საბჭოთა კავშირში ჩამოსულ ტურისტთა დიდ ნაწილს საქართველო მასპინძლობს. როგორც ჩანს, ჩვენი სამშობლოს მთა-ბარი სტუმრებზე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს და, არც ისე იშვიათად, ამ მადლიან მიწაზე ერთხელ ფეხდადგმული მეორედაც მოეშურება მის სანახავად.

საზღვარგარეთელი სტუმრების მიღება ჩვენს რესპუბლიკაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს და მის განყოფილებებს ევალებათ. გასულ „სამშობლოს“ კორესპონდენტი რეზო მაჭავარიანი შეხვდა ამ სამმართველოს უფროსს ოთარ ქავთარაძეს და სთხოვა 1969 წლის შედეგებსა და გაისის პერსპექტივებზე მოეთხრო.

როგორი იყო 1969 წლის ტურისტული სეზონი?

საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესო. სულ საბჭოთა კავშირში 1.700.000 ტურისტი ჩამოვიდა. რაც შეეხება საქართველოს, 1969 წელს მსოფლიოს 25 სახელმწიფოდან 180 ათასი ტურისტი გვეწია.

რა იზიდავთ საქართველოში უცხოელ სტუმრებს?

ვიდრე ამ შეკითხვაზე გიპასუხებდეთ, ორიოდე სიტყვით გაგაცნობთ ჩვენი სამმართველოს საქმიანობას.

სტუმრის მიღებით საქართველო ოდითგანვე ცნობილი. ტრადიციებს, რომელთაც ასე სათუთად ინახავს ქართველი ხალხი, რომ იტყვიან, თვალისჩინივით ვუფრთხილდებით. მრავალრიცხოვანი უმაღლესი კლასის სასტუმრო, მოტელი თუ კემპინგი ყოველთვის მზად არის სტუმრების მისაღებად. მზრუნველობას არ ვაკლებთ ტრასებსა და იმ ადგილებს, სადაც ტურისტული მარშრუტები გადის.

ჩვენ, როგორც მასპინძლებს, გვევალება უცხოელ ტურისტებს გავაცნოთ რესპუბლიკის კულტურული ცხოვრება, სურვილისამებრ დავასწროთ სპექტაკლებს, კონცერტებსა თუ კინოფილმებს, შევახვედროთ რიგითს საბჭოთა ადამიანებსა და გამოჩენილ მეცნიერებს, დავეხმაროთ საჭირო ნივთების და სუვენირების შეძენაში, გამოვცეთ მათთვის საჭირო ბუკლეტები და გზამკვლევები...

რა იზიდავთ ტურისტებს



სურათზე: ოთარ ქავთარაძე.

საქართველოში? სტუმრად ჩამოსულთ ერთნაირად ხიბლავთ 1500 წლის თბილისი თუ ქათქათა ბათუმი, ჯერორტი ბიჭვინთა თუ საქართველოს უძველესი დედაქალაქი მცხეთა, ჯვრის მონასტერისა თუ ალავერდის ხეობა. ტურისტთა გაჯარგულებამია პირველი კლასის რესტორნები და ღამის ბარები თბილისში, ბათუმში, სოხუმში, გორში, ფასანაურში.

ტურისტებს რამდენსამე მარშუტს სთავაზობთ. რომელია ყველაზე პოპულარული?

საახალწლო მოლოცვები







ამ ოგესალმებით, ძვირფასო თანამემამულენო, თქვენი სამშობლოდან. გილოცავთ ახალ წელიწადს და გისურვებთ, არ გაგცივებოდეთ გული სამშობლოსადმი, არ დაგვიწყებოდეთ ტკბილი ქართული ენა არც თქვენ და არც თქვენს შთამომავლობას, რომელსაც სწორად უნდა გადასცეთ ეს ყველაზე დიდი განძი ქართველი ადამიანისა.

აკადემიკოსი
გიორგი ახვლედიანი



საახალწლო სუფრაზე გოზინაყი და დედის ხელით გამომცხვარი საჭაპურები არ გვექნება, თორემ ქართულად თქმული — „მომილოცავს ახალი წელიწადი“ და „მრავალჟამიერ“ — ოკეანის ტალღების ხმაურს წუთით მაინც გადაფარავს. ეს მილოცვა „მეზღვაურის გულივით“ ალალი და ატლანტიკის ოკეანესავით უკიდეგანო, ყველას ეკუთვნის, გეკუთვნის შენც გაზეთ „სამშობლოს“ მკითხველო. ბედნიერებასა და სიკეთეს გისურვებთ!

რომან ახობაძე,
ტანკერ „გორის“ კაპიტანი,
ატლანტიკის ოკეანე.

ახალი გამარჯვებებით, ახალი წარმატებებით ფეხშემოდგმულ ახალ წელიწადს ვულოცავ ჩემს საყვარელ ხალხს, ხალხს მშრომელს, გმირსა და კეთილშობილს.

აკაკი ხორავა
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

შენ სადღეგრძელოს ახალო წელო, ასე ამბობდნენ ჩვენი მგოსნები...



ილია ჭავჭავაძე

ესეც კიდევ ერთი წელიწადი ჩაბარდა თავის პატრონსა და საუკუნეების წინაშე წარსდგა განსაკითხავად. რას ჰკითხავენ და რით იმართლებს თავს ეს ძველი წელიწადი? ამ ძველს წელიწადს წინა წლისაგან დარჩა ერთი სადავიდარაბო საქმე, რომელსაც მთელი ევროპა აყაყანა... (იგულისხმება ბულგარეთის დამოუკიდებლობისათვის გამოწვეული აურზაური. რედაქციის შენიშვნა). ეს გარემ და ჩვენ რაღა მოგვიტანა ძველმა წელიწადმა? ნუგეშად და პირის გასატკბარუნებლად რა დაგვიტოვა? ნიგოზი და თაფლი, რომ გუნებაყი გავაკეთოთ. ჩვენც გავაკეთოთ გუნებაყი და ერთმანეთს ტკბილად მივულოცოთ, ვიმხიარულოთ. კაცი კი რომ დაუფიქრდეს და თავის თავსა ჰკითხოს: რა მაქვს გასახარელი, რომ ეგრე გულიანად ვხარობო, — არა გვგონია, სიხარულს ცოტად ფრთა არ შეაკვეცოს, ხუმრობაა! თვითეულს ჩვენგანს სამას სამოც-და-ხუთი დღე დაგვაკლდა, სამას სამოც-და-ხუთი დღით თვითეული ჩვენგანი დაუახლოვდა აუცილებელს გედის-ფრთასა! წინ ეს დანაკლისია და უპან!... მარტო ნიგოზი, რომელიც კაკლის ხემ გვითამაშა, და თაფლი, რომელიც ფუტკარმა გვიწყალობა. თუ ასეა, მაშ რა გახაროთ და რა მოგილოცოთ! ნიგოზი ხომ ყოველთვისა გვქონია და გვექნება, მინამ ჩვენში კაკლის ხე ჰხარობს, თაფლიც არა გვგონია მოგვაკლდეს, თუ ქვეყანაზედ ფუტკარი არ გაწყდება. მაშ ვინატროთ, რომ ჩვენ შორის ისე იხაროს კეთილმა, როგორც ჩვენში კაკლის ხე ჰხარობს და თვითეული ჩვენგანი ისე გაისარჯოს, როგორც ირჯება ფუტკარი. მაშინ სულ სხვა ნიგოზი გვექნება და სულ სხვა თაფლი. მაშინ სამას სამოც-და-ხუთი დღე, ჩვენგან დაკლებული, ჩვენთა შემდგომთა მიემატებათ, იმიტომ — რომ იგინი უფრო ბედნიერ იქნებიან და ერთი დღე ბედნიერებისა განა არა სჯობს მთელს სამას ნამოც-და-ხუთ დღეს უძმად ჩავლილსა და გაბატრებულსა?

„ივერია“, 1887 წლის 1 იანვარი.

აკაკი წერეთელი

მოვდივართ მოსალოცავად,
მოგვაქვს სამკვლევი და
„კვალი“,
ღმერთმა მრავალს წელს
დაგასწროთ
და გაგითენოსთ ახალი!

◆

ვაჟა-ფშაველა

აბა ვინა ხართ, სადა ხართ,
გამოიხედეთ გარეთა!
გილოცავთ ახალსა წელსა
იცოცხლეთ, გაიხარეთა.
უპირველესი სალამი
ივერის არე-მარესა, —
მის სისხლსა და ხორცს
ქართლ-კახეთს
და იმერეთის მხარესა
ბედი და ბედნიერება,
დღეთაც ნუ ჰნახვენ მწარესა...
ვუსურვებ დღეგრძელობასა
სამშობლოს მზეს და
მთვარესა,
ნუგეშსა გვცემენ, გვათბობენ
და გვითენებენ ღამესა...

◆

იოსებ გრიშაშვილი

შენს სადღეგრძელოს, ახალო
წელო,
ვსვამ მამაჩემის შევერცხლილ
კულით.
მადლად მიიღე ეს
სადღეგრძელო —
ამონათქვამი ანკარა გულით.
სადაც წახვიდე — ქვაც
აგიმწვანდეს,
ყლორტები გექცეს მებრძოლ
ბიჭებად,
იარო, დევის ნამუხლარს
ჰგავდეს
შენი ყოველი გადაბიჯება.

ხალხური

ხელში ორ ჭიქას ავიღებ,
ვილოცებოდე ღვინითა,
ყველა კარგად დაესწარით
მრავალ ახალ წელს დილითა.
ნათლიმამა თან მოგდევდეს,
თაფლი მოჰქონდეს ქილითა,
ხურჯინი სავსე მოჰქონდეს
ჩურჩხელებით და ხილითა.
თქვენი კოდები ყოფილა
სავსე და წმინდა ფქვილითა;
თქვენი ქვევრები ყოფილა
სავსე და წითელ ღვინითა;
თქვენი ფარეხი ყოფილა
სავსე და ძროხის ბინითა;
თქვენი მტერი წაქცეულა,
ვეღარა ძღება ძილითა;
ხალხი სულ ამოწყვეტია,
ეზიდებოდა ვირითა,
ვირი რომ ვერ ასდიოდა,
ურმებს იჭერდა ქირითა,
მკვდარი არ გამოლეოდა
მუდამ ორშაბათ დილითა.

◆

გიორგი ქუჩიშვილი

კარი გამიღეთ,
მგვლელ ვარ!
სულს დაფარგს
ღამე ბებერი!
ისმის მამლების
ყივილი,
ახალწლის მაუწყებელი!
ჩვენც ავიშალნეთ,
ბალღები,
და შევხვდეთ,
როგორც შეჰფერის!
ხარობდეთ!
ფეხი შემოვდგი!
გილოცავთ
ხონჩა-ძღვენითა!
დაიზარდენით
ისწავლეთ,
დრო გაატარეთ
ლხენითა
და რომ ქვეყანას
დედობრივს
თავი მოჰქონდეს
თქვენითა.

გალაკტიონ ტაბიძე

სიახლე დღეთა ესევითარი, საქართველოში მკვიდრი ვით არი,
რა ბედნიერი და რა მდიდარი გვექნება წელი — თქვენ ნახავთ,
ნახავთ!

აწ დადგა დარი,
რჩეულებს მიზნად რომ დაუსახავთ!
მოვხახოთ ძმები, მოვნახოთ დები, გავფრინდეთ! ჩვენ ხომ
გვასხია ფრთები,
გადავიაროთ ზღვები და მთები: გადავიაროთ სივრცე, დროება.
ნუ დავფიქრდებით:
ვერას დაგვაკლებს ამაოება!..


შიო მღვიმელი

ინათა, ახალი წელიც
გამოჩნდა თავის ალმითა;
სუყველას ჩამოშარა
კარისკარ, ტკბილის სალმითა.
თან მოვიტანე თქვენთვისა
თაფლი, ჩურჩხელა, ჩამიჩი,
ბასილა, თაფლის კვერიო,
ვაშლი და თხილი მრავალი,
უხვად სხვაც ყველაფერიო.

ალექსანდრე აბაშელი

ეს ერთი წელიც უნაპირო ბნელს შეეხიზნა,
დაინთქა სადღაც დროთა ფერფლის საკუჭნაოში,
და დამიტოვა ჭაღარა თმის კიდევ ერთი ძნა
და გულის ტკენის მწვავე კვალი შუბლის ნაოჭში.
მოდის სიბერე, ვზივარ ვერცხლის გვირგვინოსანი
და ველი სიბრძნეს ყოველ რითმის გამოუვანაზე.
მინდა ძარღვებში დავიგუბო მზე ღვინოსავით,
ოდნავ ზარხოშად რომ ვიარო ამ ქვეყანაზე.
მეყოფა ზრუნვა და სიმწარე, რაც განვიცადე,
დაე სინათლემ დააბრმაოს ბედი მჭირდავი,
მოადგა ნაპირს ღერძმაგარი ეს წელიწადიც,
როგორც ხომალდი, ოქროს ხორბლით დასატვირთავი...

კ რ ო ს ვ ო რ დ ი



ჰორიზონტალურად: 3. კახეთის ერთ-ერთი ველი, 6. უძველესი ტაძარი მცხეთაში. 7. სახელმწიფო ამერიკა-კავკასიის სამხრეთში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. 10. კავშირი, შეთანხმება. 12. საყანედ გაკაფული ტყე. 14. ქართული ხალხური ეპოსის მითიური გმირი. 18. საბაზრო ქალაქი და ნავსადგური თურქეთის დასავლეთ ნაწილში. 20. მდინარე საქართველოში. 21. დიდი ყუთი, ზანდუკი. 23. ლითონის სასმისი. 24. ცნობილი ესპანელი მხატვარი. 27. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა. 30. ჰომეროსის ეპიკური პოემა. 31. დიდი ქართველი პოეტი (გარდაიცვალა 1959 წელს). 32. ქალის თავსაფარი. 36. მხატვრული ჭედვის გენიალური ქართველი ოსტატი (XII-XIII საუკუნე). 38. კურორტი საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე. 40. შეომარ მხარეთა შეთანხმება. 41. მაღალი ხე. 44. ტბა საქართველოში — აფხაზეთში. 45. სალამოხანი, მწუხრი. 46. ფრანგი განმანათლებელი და მწერალი (1712-1778). 47. ქალის სახელი. 49. კათოლიკური ეკლესიის მეთაური. 50. ეპოქა, ხანა. 52. სახელმწიფო საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით IV-XV საუკუნეებში. 53. დავით ერისთავის ცნობილი პიესა. 54. ინგლისელი დრამატურგი და პუბლიცისტი (გარდაიცვალა 1950 წელს). 56. ხეობა საქართველოს ჩრდილოეთში. 57. ტბა ჩრდილოეთ ამერიკაში.

ვერტიკალურად: 1. დაბალი მარადმწვანე ხე ან ბუჩქი. 2. ხომალდის სახელწოდება ერთ-ერთ ძველბერძნულ თქმულებაში. 4. კავკასიონის უმაღლესი მწვერვალი. 5. მდინარე საქართველოში. 8. თვე. 9. ნავთობგადასაზიდი გემი. 11. სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში. 13. ქალაქი იაპონიაში. 15. პლანეტა. 16. „ვეფხისტყაოსნის“ გმირი. 17. სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნის დედაქალაქი. 19. ყურძნის კრეფა. 22. გარეული ფრინველი. 25. ბელინის ოპერა. 26. ნადირობის ქალღმერთი ძველბერძნულ მითოლოგიაში. 28. ნახევარკუნძული ახლო აღმოსავლეთში. 29. ქრისტიანულ და იუდეურ რელიგიაში — მხსნელი. 33. ხელოვნების მუზეუმი პარიზში. 34. ქართველი ენათმეცნიერი, აკადემიკოსი. 35. კედლის ფერწერული მოხატულობა. 37. თბილი ქვეყნების მცენარე. 39. ძვირფასბეწვიანი მტაცებელი ცხოველი. 40. უყვავილო. 42. შტატი ამერიკის შეერთებულ შტატებში. 43. ქუჩის საფარი. 48. სურნელოვანი მცენარე. 49. ნელი ტემპის აღნიშვნა მუსიკაში. 51. მუხის ნაყოფი. 54. მამაკაცის სახელი. 55. მჭედლის იარაღი.

შეადგინა სერგო გელაშვილმა

რედაქციისაგან: მკითხველთა გვარებს, რომლებიც კროსვორდს სწორად ამოხსნიან, გამოვაქვეყნებთ ჩვენი გაზეთის შურცლებზე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ახალ ნამდვილ წევრებს



● ყაუხჩიშვილი სიმონ გიორგის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.



● შენგელაია დემნა (დიმიტრი) კონსტანტინეს ძე — მწერალი.



● ფიფია ეგნატე კალისტრატეს ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.



● გაძრაძე კონსტანტინე სპირიდონის ძე — ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.



● ჯიქია სერგი სიმონის ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.



● ნათაძე რევაზ გრიგოლის ძე — პედაგოგიკის მეცნირებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.



● მიქელაძე ირაკლი სოლომონის ძე — ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.



● გამყრელიძე რევაზ ვალერიანის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ლენინური პრემიის ლაურეატი.



● გიწაძე ანდრია ვასილის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.



● ძიძიგური არჩილ ამბროსის ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.



● ჩიტაია გიორგი სპირიდონის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;



● ცაგარელი არჩილ ლუკას ძე — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.



● გაბუნია ლეონიდ კალისტრატეს ძე — გეოლოგია - მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;



● შენგელია პავლე გიორგის ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.



● არეშიძე ქრისტეფორეს იოსების ძე — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

12 დეკემბერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კონფერენც-დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება, რომელიც აკადემიის ნამდვილ წევრთა არჩევნებს მიეძღვნა.

საერთო კრებას წინ უძღოდა კრებები რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მეჭს განყოფილებაში, რომლებზეც აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრობის კანდიდატები.

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე გაკართული ფარული კენჭისყრის შედეგად ქართული აკადემიის შემადგენლობას შეემატა თხუთმეტი ახალი ნამდვილი წევრი.

„სამშობლო“ უღობავს

„მელოდიას“ ჯანგები

ქართული ხალხური სიმღერა ძველთაძველია.

ვინ იცის, რამდენი სიმღერა, მუსიკალური ჰანგი დაიკარგა, ისე რომ შთამომავლობას მათი ჩანაწერიც არ დარჩენია.

ახლა უკვალოდ აღარ იკარგება ჩვენი მუსიკალური ჰანგები.

საკავშირო ფირმა „მელოდიას“ თბილისის გრამფირფიტების სახლმა არსებობის ოთხი წლის მანძილზე ბევრი მუსიკის მოყვარული გაახარა აღდგენილი და ხელახლა ჩაწერილი სიმღერებით.

საფირმო მაღაზიის სექციებში, — გვითხრა გრამფირფიტების სახლის დირექტორმა ლერი ღვალაძემ, — 1500-ზე მეტი დასახელების ფირფიტაა. უხვად არის კლასიკური, საბჭოთა და ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოები, ხალხური და საესტრადო სიმღერა. აქ შეიძლება შეიძინოთ ყველა უანრისა და დასახელების ნაწარმოები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქართული ხალხური მუსიკის, ეროვნული ბალეტის, ოპერების, ოპერეტებისა და სიმფონიური მუსიკის ჩაწერას.

ფირმის მთავარი მიზანია პირველ რიგში ჩაიწეროს თვითმოქმედი კოლექტივების მიერ შესრულებული მუსიკალური ნაწარმოებები, ქართული საესტრადო კოლექტივების კონცერტები, რომელთა რეპერტუარი ძირითადად დამყარებულია ქართულ ხალხურ მუსიკაზე. სტუდიაში იწერენ აგრეთვე კლასიკურ და საოპერო მუსიკას, როგორც ქართველ, ისე უცხოელ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს. ასეთი მრავალმხრივი რეპერტუარის შედეგია ის აღფრთოვანებული სიტყვები, რომლითაც სავსეა საფირმო მაღაზიის სალონის შთაბეჭდილებათა წიგნი. „არსად შევხვედრივართ ასეთ ფართო რეპერტუარს“, — წერენ გამოჩენილი ფრანგი მუსიკისმცოდნე ჰოფმანი, პოლონელი კომპოზიტორი და დირიჟორი გლადუიევსკი და სხვები.

რას გვპირდება მომავალში მუსიკალური კულტურის ეს საინტერესო კერა?

მუსიკის მოყვარულები მალე მიიღებენ ოთარ თაქთაქიშვილის რომანსებს, სულხან ცინცაძის კონცერტს ვიოლინოსა და ორკესტრისათვის მარინე იაშვილის შესრულებით, რუსთავის თვითმოქმედი ანსამბლის მიერ შესრულებულ ხალხურ სიმღერებს ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით, პიონერთა სასახლის ბავშვთა თვითმოქმედი ანსამბლის სიმღერებს. ნორჩი მსმენელები მალე მიიღებენ აგრეთვე სხვა საბავშვო სიმღერებისა და ზღაპრების ახალ ჩანაწერებს.

თბილისის გრამფირფიტების სახლი ფართო ასპარეზზეა გასული. ამ ფირმის ფირფიტები იყიდებოდა მონრეალში. იზმირში საერთაშორისო გამოფენაზე 20.000 ცალი ფირფიტა გაიტანეს წმინდა ქართული სიმღერების ჩანაწერებით. გერმანიაში, საქართველოს კულტურას დღეებში დიდი მოთხოვნილება იყო ფირმა „მელოდიას“ ქართულ ჩანაწერებზე.

1970 წელს იაპონიის საერთაშორისო გამოფენაზეც წაიღებენ „მელოდიას“ ფირფიტებს, მსოფლიოს ხალხები გაიცნობენ ქართულ მუსიკალურ სამყაროს. ეს იქნება თბილისის გრამფირფიტების სახლის კიდევ ერთი აღიარება.

ნათია ახობაძე

წიგნის თარო

გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოსცა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არაბულ, თურქულ და სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი (კოლექცია). იგი შეადგინეს ცისანა ახულაძემ, რუსუდან გვარამიამ, მაია მამაცაშვილმა. წინათქმა ეკუთვნის გიორგი წერეთელს. კატალოგი გარკვეულ დახმარებას გაუწევს აღმოსავლეთმცოდნეობის დარგში მომუშავე სპეციალისტებს.

● „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა ნოდარ ტაბიძის წიგნი — „პირველი ქართული გაზეთი“. გამოკვლევა ეძღვნება ქართული ჟურნალისტიკის 150 წლისთავს. რედაქტორია ნათელა ფავლენიშვილი, მხატვარი — ლადო გრიგოლია.

● უნივერსიტეტმა გამოსცა აკაკი ურუშაძის საინტერესო წიგნი — „ქართული კულტურის კერა გულგარეთში“. მასში ლაპარაკია ბულგარეთის ქალაქების, განსაკუთრებით პეტრიწონის ანუ ბაჩკოვოს სავანის, მისი დამაარსებლებისა და მოღვაწეების, იქ დაცული ძველი ქართული არქიტექტურის ნიმუშების, ხელნაწერებისა და ნივთების გარშემო. წიგნის რედაქტორია ნიკო ბერძენიშვილი.

● საბავშვო მწერალმა კობა იმედაშვილმა ნორჩი მკითხველები გაახარა კიდევ ერთი წიგნით — „ჩიორა“, რომელიც „ნაკადულმა“ გამოსცა. წიგნი გააფორმა მანანა მორჩილაძე-დეისაძემ.

● პოეზიის მოყვარულებმა მიიღეს კიდევ ერთი წიგნი. „მერანმა“ ახლახან გამოუშვა ირაკლი აბაშიძის ლექსები სათაურით „მიახლოება რუსთაველის ნაკვალევზე“. წიგნის რედაქტორია კარლო კალაძე. მხატვრულად გააფორმა ოთარ ჭიმკარიანმა.

● ცნობილი ქართველი მწერლის გიორგი შატბერაშვილის მოთხრობა „მკვდრის ძზე“ ესტონურ ენაზე გამოუშვა ტალინის სახელმწიფო გამომცემლობა „ეესტი რაამატმა“. იგი თარგმნა მერიკე პაუმ. სუპერი მხატვრულად გააფორმა ლიივამ.

● „მეფე ბაბარატ მეშვიდე“ — ასეთი სათაურით გამომცემლობა „ხელოვნებამ“ დაბეჭდა გამოჩენილი ქართველი დრამატურგის პოლიკარპე კაკაბაძის ისტორიული პიესა. მასში ასახულია მე-16 საუკუნის დამდეგის დასავლეთ საქართველოს ისტორიული სინამდვილე. წიგნის რედაქტორია ბესარიონ ყულენტი.

● პოეტისა და მთარგმნელის პოლიო აბრამიას დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა მისი რჩეული ლექსების კრებული. წიგნს ერთვის ავტორის პორტრეტი და მურმან ლებანიძის წინასიტყვაობა, რედაქტორია ჯანსულ ნიქაბაძე.

● „განახლებული მესხეთის ქალაქი“ — ასეთი სათაურით გამოიცა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის დავით კოპორიძის წიგნი, რომელშიც მკითხველი გაეცნობა ახალციხის წარსულსა და აწმყოს, მის დიდ დამსახურებას სამხრეთ საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში, მესხეთის გულის აყვავებას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

● „მერანმა“ გამოსცა ცნობილი ქართველი პოეტისა და კრიტიკოსის შალვა აფხაიძის წიგნი — „წერილები და მოგონებები“. მასში შეტანილია საინტერესო წერილები ირაკლი აბაშიძის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, სანდრო ახმეტელის, გიორგი ლეონიძისა და სხვათა შესახებ.

● მკითხველებმა მიიღეს გამომცემლობა „მერნის“ მიერ გამოშვებული ქართული კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობის შესანიშნავი ნიმუში — მოსე სონელის „ამირანდარეჯანიანი“. წიგნი გამოსაცემად მოამზადა და ლექსიკონი დაურთო ლილი ათანელიშვილმა.

● თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა „პაპა-შაშაველას მცირე ლექსიკონი“. ეს მეტად საინტერესო მნიშვნელოვანი წიგნი უნივერსიტეტის ორმოცდაათი წლისთავის საიუბილეოდ მოამზადა დაჟას სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა. ლექსიკონი შეადგინა პროფესორმა ალექსი ჭინჭარაულმა. მთავარი რედაქტორია არნოლდ ჩიქობავა.

ინტერვიუ

სრულიად საქართველოს უწმინდეს და უნეტარეს კათალიკოს-პატრიარქ ეფრემ მეორისა გაზეთ „სამშობლოს“ კორესპონდენტთან.

● **თქვენო უწმინდესობავ! რით იყო აღსანიშნავი 1969 წელი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ცხოვრებაში?**

— ეს წელიწადი საერთოდ ფეხბედნიერი იყო და იგი ქართული ეკლესიისთვისაც მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა. წელს ქართულმა ეკლესიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ყველა რელიგიის წარმომადგენელთა კონფერენციაში ხალხთა შორის მშვიდობის დაცვისა და განმტკიცების საკითხებზე, რომელიც სრულიად რუსეთის პატრიარქმა ალექსიმ მოიწვია ზაგორსკის ლავრაში, მოსკოვთან ახლოს.

● **ცნობილია, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ გაიხსნა ქართული სასულიერო სემინარია. რას გვეტყვით ამის შესახებ?**

— დიახ, მეექვსე წელიწადია, მცხეთაში დაარსდა სასულიერო სემინარია. ახლა ჩვენ საშუალება გვაქვს აღვზარდოთ ჩვენი შემცვლელი თაობა, ქართული ეკლესიისათვის მოვამზადოთ მღვდელმთავრები, რომელთაც ეყვარებათ, როგორც ქრისტიანული სჯული, ისე მამულიც — ამ სიტყვის ფართო გაგებით.

● **თქვენო უწმინდესობავ! რით იყო აღსანიშნავი 1969 წელი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ცხოვრებაში?**

— ეს წელიწადი საერთოდ ფეხბედნიერი იყო და იგი ქართული ეკლესიისთვისაც მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა. წელს ქართულმა ეკლესიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ყველა რელიგიის წარმომადგენელთა კონფერენციაში ხალხთა შორის მშვიდობის დაცვისა და განმტკიცების საკითხებზე, რომელიც სრულიად რუსეთის პატრიარქმა ალექსიმ მოიწვია ზაგორსკის ლავრაში, მოსკოვთან ახლოს.

● **ცნობილია, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ გაიხსნა ქართული სასულიერო სემინარია. რას გვეტყვით ამის შესახებ?**

— დიახ, მეექვსე წელიწადია, მცხეთაში დაარსდა სასულიერო სემინარია. ახლა ჩვენ საშუალება გვაქვს აღვზარდოთ ჩვენი შემცვლელი თაობა, ქართული ეკლესიისათვის მოვამზადოთ მღვდელმთავრები, რომელთაც ეყვარებათ, როგორც ქრისტიანული სჯული, ისე მამულიც — ამ სიტყვის ფართო გაგებით.

● **ეროვნული ღირსების საკითხი ყოველთვის ეროვნული ეკლესიის ცენტრალური საკითხი იყო. ამ მხრივ რა ნაბიჯები გადაიდგა 1969 წელს?**

— ერის სულიერი სისპეტაკის დაცვას, მის გამრავლებაზე ზრუნვას.

● **როგორც მშვიდობის დაცვის კომიტეტის წევრმა, გთხოვთ გვიპასუხოთ, რა როლს ასრულებს საქართველოს ეკლესია ხალხთა საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებაში?**

— ქართული ეკლესია მუდამ ბურჯად ედგა მშვიდობის დაცვის საქმეს. დღეს ადამიანებს მეტად, ვიდრე ოდესმე, სჭირდებათ მშვიდობა. ქართული ეკლესიის მეთაური ყოველთვის ესწრება სამშვიდობო ღონისძიებებს ჩვენშიც და უცხოეთშიც. მაგალითად. ვიყავი პარიზში, ჩეხოსლოვაკიაში. ბულგარეთში, რუმინეთში, შვეიცარიაში და სხვაგან. ყველა ამ ქვეყანაში სიტყვით მიხდებოდა გამოსვლა და მთელი ქვეყნის მშრომელებს მოვუწოდებდი მშვიდობისაკენ, ბედნიერებისაკენ, ურთიერთპატივისცემისა და გაგებისაკენ. ჩვენი ეკლესია მატერიალურ დახმარებას უწევს, როგორც რესპუბლიკურ და საკავშირო, ისე მშვიდობის დაცვის მსოფლიო კომიტეტს.



● **თქვენი აზრი საბჭოთა საქართველოს ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაზე?**

— არავისთვის სადავო არ შეიძლება იყოს, რომ უკანასკნელი 50 წლის მანძილზე ჩვენი სამშობლო როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად ძალზე განვითარდა და ახლა შედარებაც კი შეუძლებელია რევოლუციამდელ საქართველოსთან.

● **როგორია ქართული ენის გამოყენების არე იმასთან შედარებით, რაც თქვენ გახსოვთ ოქტომბრის რევოლუციამდელი მდგომარეობის მიხედვით?**

— წარმოუდგენლად დიდი. რევოლუციამდე სად იყო ქართული ენა ასე გავრცელებული! ჯერ მარტო ჩვენი ბიბლიოთეკები რად ღირს, უამრავი წიგნი იბეჭდება ქართულად მეცნიერებისა და ლიტერატურის ყველა დარგში. ახლა სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები..., რომლებშიც, როგორც წესი, სწავლება ორ ენაზე მიმდინარეობს.

● **რას თვლით თქვენი მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს მხარედ?**

— ერის სულიერი სისპეტაკის დაცვას, მის გამრავლებაზე ზრუნვას.

● **როგორც მშვიდობის დაცვის კომიტეტის წევრმა, გთხოვთ გვიპასუხოთ, რა როლს ასრულებს საქართველოს ეკლესია ხალხთა საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებაში?**

— ქართული ეკლესია მუდამ ბურჯად ედგა მშვიდობის დაცვის საქმეს. დღეს ადამიანებს მეტად, ვიდრე ოდესმე, სჭირდებათ მშვიდობა. ქართული ეკლესიის მეთაური ყოველთვის ესწრება სამშვიდობო ღონისძიებებს ჩვენშიც და უცხოეთშიც. მაგალითად. ვიყავი პარიზში, ჩეხოსლოვაკიაში. ბულგარეთში, რუმინეთში, შვეიცარიაში და სხვაგან. ყველა ამ ქვეყანაში სიტყვით მიხდებოდა გამოსვლა და მთელი ქვეყნის მშრომელებს მოვუწოდებდი მშვიდობისაკენ, ბედნიერებისაკენ, ურთიერთპატივისცემისა და გაგებისაკენ. ჩვენი ეკლესია მატერიალურ დახმარებას უწევს, როგორც რესპუბლიკურ და საკავშირო, ისე მშვიდობის დაცვის მსოფლიო კომიტეტს.

● **შემდეგი ჩვენი შეკითხვა სხვა სფეროს შეეხება. სწორად მიგაჩნიათ თუ არა ვერსია თამარის ნეშტის პალესტინაში გადასვენების შესახებ?**


— „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს, დიდი თამარი გელათში დაკრძალესო თამარს, ეკლესიის მცირე ზომინდანად შერაცხილს, სამშობლოს არ დააშორებდნენ. ამას არც ხალხი ისურვებდა და არც ეკლესია. ჩემი აზრით, ეს ვერსია მცდარია.

● **რას უსურვებდა „სამშობლოს“ მკითხველებს, ჩვენს საზღვარგარეთელ თანამემამულეებს საქართველოს 138-ე კათალიკოსი ახალ. 1970 წელს?**

— გამრავლებას ხორციით. მამულის სიყვარულს, პატრიოტიზმს, სჯულისა და ადათ-ჩვეულებათა შენარჩუნებას.

● **რას უსურვებთ გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციის მუშაკებს?**

ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და წარმატებებს თავიანთ კეთილშობილ საშვილიშვილო საქმიანობაში.



ჯავარი ქართული სიტყვისა

გიორგი ლეონიძის დაბადების 70 წლისთავის გამო



სურათზე: გიორგი ლეონიძე ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსაში 105 წლის ოქროპირ გურგენიძის ოჯახში.

ვალერიან ჯუშიტაშვილის ფოტო, 1964 წლის მაისი.

ბევრჯერ მოულოცავს გიორგი ლეონიძეს ჩვენთვის ახალი წელიწადი...

როდესაც სუფრის თამადა იყო, ერთ სადღეგრძელოს უთუოდ იტყოდა: — მოდი, იმ ქართველს გაუმარჯოს, რომელიც ეხლა, აი, ჩვენ რომ ამ სუფრას ვუსხედვართ, ამ დროს გაჩნდაო.

ამ სადღეგრძელოს მისმა ახლობლებმა „გოგლაურა“ დავარქვით...

სიცოცხლეს სიცოცხლე შვენის და ისიც, მთელი თავისი არსებით, ლექსით, ადამიანური იერით, ბუნებისაგან ჩვენთვის ბოძებული ამ უცნაური მადლის განსახიერებას ჰგავდა.

ამიტომ მატებდა სხივს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას.

არა მგონია, მოწყენილი ენახოს ვინმეს. ჩვეულებრივ, თვალებში სხივჩამდგარი, ზოგჯერ ნაავდრევ მდინარესავით აზვირთდებოდა, ქუხდა და ბორგავდა.

ვისაც ერთხელ მაინც სმენია ლეონიძის ხმა, ვერასოდეს დაიჯერებს, რომ მისი ყელის სიმებსაც, სხვათა მსგავსად, სამუდამოდ დადუმება ეწერათ.

ასეთი ხმით ბებერი არწივები შეჰყივიან მწვერვალებს...

იყო ამ ხმაში რაღაც ძალიან ძველი, ნაცნობი, მარადი.

გულის საკირეში ჩამწვარი სევდა, დანაცრებულ ნასაყდრალთა ვარამი, დიდი ავდრების, ჩანჩქერთა მსხვრევის, ჩვენს მიწა-წყალზე გრგვინვით გადავლილ წარღვნათა ექო.

დახანძრებული წევს ივერია,
მტკვარზე წნორები უკრავენ თარებს...

მაგრამ გიორგი ლეონიძე თავისი მოწოდებით უპირატესად სიცოცხლის მომღერალი იყო.

მას სწამდა საქართველოს უკვდავება, მისი შეუმუსვრელი იმედები, ნამეხარ რტოზე გახარებული ახალი ნაყოფი და ამის გამო შეძლო კიდეც წრფელი შთაგონებით გამოეხატა თავისი განახლებული ქვეყნის ცოცხალი გულისფეთქვა:

გამოვვარდები, ხარ თუ აღარა,
კიდევ გაისმის ქუჩებში ჩემი!
ვხედავ შენს სახლებს, ვხედავ შენს აბრებს
და მიხარიან, რომ ისევ დგებარ!
შეგხარი დილის ორთქლიან პურებს,
ახალ სართულთა წითელ აგურებს.
ვარდის საპალნეს ტაბახმელიდან
და მას, — ამ ვარდებს ვისაც არგუნებ!

ლეონიძის რძიან სიტყვას ბოლომდე შერჩა მშობელი მიწის სურნელება, ჯავარი და სინოყვრე. მისი რტოძლიერი ლექსის ხე უხვად არის მსხმოიარე იმ ჯიშიანი და მსუყე ნაყოფით, რომელიც მხოლოდ სამხრეთის თაკარა მზის ქვეშ მწიფდება.

ქართული ხალხური პოეზიის ხატოვნებასთან პოეტის შთაგონებას განსაკუთრებით ერთი თვისება აახლოებდა. ჩვენმა ძველმა სიმღერებმა შეგვინახეს განუმეორებელი ხმები, რომელთა დიდებულ სიმფონიაში მგზნებარე წარმართული გრძნობიერება და რაინდული გატაცების სიმაღარე განუყოფლად არის შეზავებული ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი კეთილშობილი იდარბაისლისა და სტოიციზმის ღრმა მოტივებთან.

სწორედ ხალხურ სიმღერებში უნდა ვეძიოთ იმ ვაჟკაცური სულის სათავე, რომელმაც სხვადასხვა დროს თავისებური გამოხატულება პოვა ქართული პოეტური სიტყვის თითქმის ყველა დიდოსტატის შეძოქმედებაში. საბედნიეროდ, ეს თვისება შერჩა ჩვენი საუკუნის ქართულ პოეზიასაც. მაინც უნდა ითქვას, რომ ვაჟა-ფშაველას შემდეგ ჩვენი მკითხველის უყურს ოშვიათად სწვენია ლექსი, რომელშიც ასე ორგანულად ყღერდეს ქართული ხასიათის ეს რაინდული სულისთქმა, როგორც იგი გაისმა გიორგი ლეონიძის „ყივჩაღურ ღამეში“ და „ნინოწმინდაში“.

ამ ლექსების ავტორს სიცოცხლე სამყაროს ყველაზე დიდ სასწაულად შეიჩნდა და მან, როგორც პოეტმა, შეძლო თანამედროვეთა შორისაც სინაზდვილის ასეთი დღესასწაულებრივი განცდა დაემკვიდრებინა.

შემთხვევითი არ არის, რომ ღამეული პეიზაჟის ხატვის დროსაც კი იგი ოშვიათად მიმართავდა მრუმე საღებავებს:

მოსჩანს სამშობლო, ივრის ვაზები
როგორც სასანთლე გაჩაღებული...

გიორგი ლეონიძის „ნარგიზნარევი განთიადები“, მის ლექსში „თამარის ნათელი ღიმილივით“ ჩამდგარი „ნუშის გადმოთოება“, სხივად დაცვენილი თუთის მძივები, ციცინათელები, მისი სტრიქონის „ოქროშზიური შხეფები“, დღესაც საზეიმოდ გაჩაღებულ სასანთლესავით ელვარებენ ქართული პოეზიის დიდ ტაძარში.

ასეთი სინათლე მხოლოდ ნამდვილ სიყვარულს, ნამდვილ რწმენასა და მათ შაღალ სამსხვერპლოზე დაფერფლილ შთაგონებას შეეძლო გამოეცა.

ლეონიძის მთელი შემოქმედება იმ დიდი სიბარულისა და სულიერი სიძართლის გამოხატულებაა, რომელიც მან მშობელი ხალხისაგან შეითვისა.

და განა არ არის უდიდესი ბედნიერება, რომ ისეთ ფველ ერს, როგორიც ჩვენ, ქართველები წარმოვადგენთ, აქამდე შერჩა ასეთი საღი და ნათელი მსოფლშეგრძნება, ასეთი უტეხი სული და ქვეყნიც ბშვენიერებით ასე უშუალო ტკბობის უნარი!

ბევრჯერ მოულოცავს გიორგი ლეონიძეს ჩვენთვის ახალი წელიწადი...

დღესაც სამშობლოს მეკვლეა. ყველა ქართველის. ყველა ერთგული მამულიშვილის მწე და ქომაგი. „თვითეულ მოძმის გადამკოცნელი“. მამაპაპური კერათა დიდი მეურვე და შთამომავალთა იმედების სულისჩამდგმელი.

გურამ ასათიანი

გიორგი ლეონიძე

ჩვენი სამშობლოვ, შენი მეკვლე ვარ!

ჩემო სამშობლოვ, შენი მეკვლე ვარ,
— შემოვდგი ფეხი, ვარ მომლოცველი,
თვითეულ მოძმის გადამკოცნელი!..
ხალხო ქართველო,
შენ გაიხარე,
ბედნიერების ვარ მომლოცველი!
ყოველი შენი ბუჩქი და ტოტი
მენახოს მზეში დამარჯნებული,
შენი მარჯვენა მინდვრად, დაზგასთან,
იყოს მარადის გამარჯვებული!
ხალხო, გიმრავლოს კერის აკვნები,
ხალხო, აივსე მიწის ბარაქით!
სულ მჩქეფარებდნენ დაუშრობელად
შენი რიოხი, მტკვარი, არაგვი!
სამშობლოვ,
შენი კერის მეკვლე ვარ,
შენი ლამაზი მიწის მკოცნელი,
ათას ჩანგსა და ათას სიმებზე
ამოგაჭღერო მინდა ოცნებით.
მაგრამ სიტყვები ვერ მიპოვნია,
ჰანგი, შენდამი ტრფობის მტყორცნელი!
ყოველდღე ჩემთვის ბედნიერების
და სიხარულის ხარ მომლოცველი!

„დედა ენა“

ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა,
ჩვენი ენა ქართული,
ვარდნაბამი ფურცელი,
ჩვენს ყრმობაში
ჩართული!
დედის ძუძუ მეორე,
სიყვარული პირველი.
ჩვენს აკვანს შემოჰქდარი,
შვალობელი ფრინველი.
იავნანის ნიავში
ჩვენს ყურთან რომ
გაისმა,
ყრმობა რომ გვისურნელა,
როგორც ბალი მაისმა.
ტკბილად რომ გაგვიხარა
ჩვენ ბავშვობა ბეჩავი —
შავი კაბით გაზრდილებს,
გაზუნებულ ლეჩაქით.
ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა,
ჩვენი ენა ქართული,
ოქროსხმიან სიმებად
გულში ამოხლართული!
ამ წიგნიდან გაბრწყინდა
ქართლის დიდი მთიები,
პირველ ფურცელს
გაშლიდა
გამოხატულს იებით,
ის ამ წიგნში უსმენდა
ნაკადულს და ტოროლებს,
საწყალ ხარის ტირილსა,
ხმასევდიან ოროველს,
ხმას გაუინულ კაცისას,
სიცივით რომ კვდებოდა,
მზე საწყალი კაცისა
გორას მიჰფარებოდა.
მას უყვარდა ეს წიგნი,
ჭრელი აბგის მშვენება,
მოიგონებს და შუქი
გულზე დაეშენება.
ვიგონებთ და გვახარებს,
რომ აქვს გულში
ჩართული, —
ჩვენი წიგნი ლამაზი.
„დედა ენა“ ქართული!

ასე ტკბილად დამიბერდით!

თბილისში ერთი სახლია, დიდი და კაშკაშა. სახელად „მზიური“ ჰქვია.

ამ სახლს ცქრიალა და თვალმახარა გოგო-ბიჭები ავსებენ.

თბილისის სამაქარლამო ფაბრიკაში ვმუშაობთო, ამ ფრაზით ბედს გვიუბნებიან.

„მზიური“ 150 დასახელების ნაწარმს უშვებს: — „დათუნია“ და „ციყვი“, „თოვლის ფიფქი“ და „სიურპრიზი“... მრავალი სახის ფილოვანი და გულიანი შოკოლადი... ძნელია მათი ჩამოთვლა.

ახლა შაინც განსაკუთრებული დღეებია მის ცხოვრებაში.

ახალი წელიწადი მობრძანდება!

ტკბილად დაბერებას მოელის დიდი და პატარა.

ფაბრიკის ფართო და ნათელ საამქროებში წუთითაც არ წყდება თეთრხალათიანი ადამიანების ფუსფუსი.

თვალისმომჭრელი სისწრაფითა და სიზუსტით მუშაობენ უნიკალური მანქანები. ირგვლივ სითბო და სიტკბო იღვრება. ბისკვიტის, კარამელის, შოკოლადისა და კამფეტის საამქროებში მრავალგვარ საწარმოო ოპერაციას ასრულებენ გონიერი მანქანები.

მანქანებთან დგანან „მზიურის“ ერთგული ადამიანები, რომლებმაც სახელი გაუთქვეს ქართულ საშაქარლამო ნაწარმს. ვინ იცის, ტკბილეულის მოყვარულთ რამდენჯერ დაულოცავთ მათთვის უცნობი ადამიანები: მერი ჩერქეზიშვილი და გივი კობახიძე, ირმა ყიფიანი და კაკო ბერიძეშვილი.

ყველა საამქროში იგრძნობა საახალწლო სამზადისი.

ახლახან შეიქმნეს ორიგინალური ეროვნული საშაქარლამო პროდუქცია, ქართული ორნამენტებით გაფორმებულ კოლოფებში თვალს იტაცებს ლიქიორით სავსე მინიატურული შოკოლადის დოქები, ქვევრები, ყანწები, ჩურჩხელები,

„გილოცავთ ახალ წელს!“ — ასეთი მხატვრული ეტიკეტი აქვს კოლოფებს, რომლებშიც ჩაწყობილია ყველაზე ტკბილი კამფეტები და შოკოლადები, მრავალ საახალწლო სუფრას რომ დაამშვენებენ.

მზიურელები პირნათლად ემგებებიან ახალ წელიწადს.

იციან თავიანთი ნასრულავის ფასი. უხარიათ და ეამაყებათ.

ახალ წელიწადს მიულოცავენ ადამიანებს, თითოეულ კამფეტს გაჰყვება მათი გულითადი სურვილი: ასე ტკბილად დამიბერდითო!

ნადია მებალიშვილი





სურათებზე: მზიურელთა ნაწარმი; გოგონები კმაყოფილნი არიან თავიანთი ნახელავით.
დაგით იაკობაშვილის ფოტო.

ღვეწრძელობა...

სტატისტიკოსები ახლაც მუშაობენ ამ ციფრის დასადგენად. მე კი არ დაგიგვიანებთ სათქმელს და გეტყვით, რომ მარტო ამ დღეებში, როდესაც ვეღით ახალი წლის მობრძანებას, ახალ ჭერქვეშ ასობით ქართული ოჯახი შესახლდა.



ნელვანდელი წელიწადი იმდენად ბარაქიანი და ხელხვავიანი გამოდგა, რომ მისგან ბოძებულ სიკეთეზე და სიმდიდრეზე მოყოლა ერთ საგაზეთო წერილში ერთობ ძნელი საქმეა.

რამდენმა ჩვენმა თანამემამულემ იზეიმა წლეულს ახალსახლობა?

გაგაცნობთ ერთ-ერთ მათგანს.

მაინც რომელს? კაცმა რომ თქვას, ესეც საკითხავია. სჯობს შევარჩიოთ ნებისმიერი, აი თუნდაც თბილისელთა ეს ოჯახი, ახალი, რვასართულიანი სახლის მობინადრენი...

კარზე მიკრულ ფირფიტაზე ვკითხულობ: გიორგი და ირინე როჭიკაშვილები. ზარს თითს ვაჭერ და... მეგებებიან კუდრაჭა გოგონები, ყაჩაღანა ბიჭუნები, ყველა ჩამოვთვალო? ნოდარი, სულხანი, ლია, ია, გია, გოჩა, ხვიჩა, ბადრი.

— ჩვენ ახე გვქვია და ყველანი როჭიკაშვილები ვართო, მომახსენეს.

მერე დიახალისმაც შემიპატიჟა.

დავჯექი და ირგვლივ შემომისხდნენ პატარა მასპინძლები. იღიმებოდნენ ალალად, ზოგჯერ ეშმაკურად. ბავშვური აღტაცებით გამაცნეს თავიანთი სამყარო: და-ძმები და მეგობრები, მშობლები და მასწავლებლები, ოცნებები და მიზნები.

უნდათ იყვნენ ჭკვიანები, ზრდილები. ყველაფერში ეტყობათ მშობლების ზრუნვა, პატივისცემა უფროსების მიმართ.

ათასი რამ მითხრეს.

სკოლაში ხუთნი დავდივართო. ნოდარი თექვსმეტი წლისაა და მეცხრე კლასშია, გია მეორე კლასის მოსწავლეა. ბადრი ჯერ სამი წლისაა, საახალწლო ლექსი ვასწავლეთო.

— ლოცა მამიკო მოვა, გეტყვითო, და ბადრიმ დედას ახედა — ცუდად ხომ არაფერი ვთქვიო.

განსაკუთრებით პატარა ბიჭების ოთხეულა ლაპარაკობს მამაზე აღტაცებით. შოფრები ვიქნებით და მამიკოსავით უზარმაზარ მანქანებს დავატარებთო.

ამასობაში ოჯახის უფროსიც მოვიდა.

გიორგი როჭიკაშვილი ოცდაჩვიდმეტი წლისაა. ახალგაზრდა კაცი დიდი ოჯახის პატრონია და ცხოვრებაში ყველაზე დიდ სიხარულად ეს მიაჩნია. დარბაისელია, კარგი მოსაუბრე, გულკეთილი, ისეთი, სტუმარს მართლა ღვთის კაცად რომ თვლის.

ამიტომაც როჭიკაშვილებთან არ ილევიან სტუმრები.

თვალის დახამხამებაში მშვენიერი სუფრა გაიშალა.

მიგვიპატიჟა სტუმრები და მასპინძელიც დაჯდა.

სადღეგრძელოები საუბრიდან გამოდიოდა.

ვილაპარაკეთ ჩვენი დღევანდელი ცხოვრების სიტკბოზე და ბავშვებზე, რომელთა გარეშე არ არსებობს ეს გრძნობა.

დედა საქართველოს გულუხვობასა და სიმშვენიერეზე.

და კიდევ ვადღეგრძელეთ —

ქართველი ქალი, ოჯახის დედაბოძი და სიმტკიცე.

წლევანდელი წელიწადი და მშვიდობა. როგორც აუცილებელი პირობა ბედნიერების მარადიულობისა.

ვადღეგრძელეთ —

ახალი წლის შემობრძანება, რომელსაც მოაქვს სიტკბო და სიყვარული, ბედნიერება და სიხარული, ხვავი და ბარაქა, ქართული ჭერის სიმაღლე და ოჯახის სიმრავლე.

გამომშვიდობებისას რვა შვილი ვუდღეგრძელე, დამპირდნენ, მეცხრეს სადღეგრძელოსაც მალე შეგასმევთო...

ჯემალ ჭურხული

სურათზე: გიორგი როჭიკაშვილის ოჯახი.
ედუარდ გიგილაშვილის ფოტო.

ქება ქართული ღვინისა

ნათქვამია — ყველას თავისი უნდა მიეზღოსო და, თუ ასეა, საახალწლო სადღეგრძელო ქართულ ღვინოსაც ეკუთვნის. მოსაფერებელი რა სჭირს, მაგრამ ერთი-ორი ტკბილი სიტყვა მასაც რომ ვუთხრათ, არაფერი დაშავდება.

— ქართველი კაცის კბილა ხარ და მასავით ალალი. ძალაც მოუცია ღმერთს და სიტკბოც. ფერიც და გემოც. მტერი ბევრი გყავდა, მაგრამ მეგობართა სიმრავლემ და ვაჟკაცობამ გადაგარჩინა.

ყველაზე ადრე შოთამ გიმღერა. არც სხვებს დაუკლია შენთვის ქება. ერთხელ მიგიტანდნენ ტუჩთან და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ შენთვის საკადრისი სიტყვების თქმაში. ლექსებსა და ოდებს გიწერდნენ...

„და შენ ჰე ღვინოვ ყოვლად ძლიერო,
ლხინით, შექცევით გულნი აღგვიგზნე;
გულს ჭირთ მდევნო, ნიჭო ცივერო,
ვინ არს, რომელ გსვა და არ აღხარე!“

იცანი? გრიგოლ ორბელიანის გულიდან ამონამღერს ვინ არ იცნობს, მან ხომ სხვებზე უკეთ იცოდა ნუნუას ფასი.

აბა, ყური დამიგდე. იცი, რა თქვა შენზე ფრანგმა მოგზაურმა შარდენმა, 300 წლის წინათ რომ ესტუმრა ჩვენს მხარეს? — „შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მსოფლიოში არ არსებობს სხვა ქვეყანა, სადაც სვამდნენ ისეთ მშვენიერ ღვინოს, როგორსაც საქართველოში“, ვინ, მაგრამ ფრანგი კაცი ღვინის შეფასებაში არ შეცდება.

გახუშტი ბაგრატიონის კალამიც მოგწვდა, მასაც ბევრი აქვს შენზე ნათქვამი.

პუშკინმაც შეგაქო. ასე თქვა, კახური ღვინო, მიწაში ჩაფლულ ვეებერთელა ქვევრებში რომ ინახავენ, მჯობნის მჯობნიაო, ქვევრის მოხდა სადღეგრძელოს ფორმებში ხდებაო. იგრძნო დიდმა მგოსანმა შენი ყადრი და პატივი. მენდელეევს, სწორუპოვარ მეცნიერსაც მოუცლია შენთვის და მგზნებრისათვის გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში ჩაუწერია: „უახანსკნელ წლებში მთელ რუსეთში გავრცელდა ამიერკავკასიაში (კახეთში) დამზადებული საუცხოო ღვინოები, ამ ქვეყანას ვაზის სამშობლოდ თვლიან“.

შენთვის ქებათაქება არ დაუკლია არც იტალიის მეღვინეობისა და მეღვინეობის აკადემიის პრეზიდენტს პროფესორ დალმასოს და არც ყურძნისა და ღვინის საერთაშორისო ბიუროს პრეზიდენტს ბარონ პიერ ლე რუას, რომელიც საქართველოში მეღვინეობისა და მევენახეობის X საერთაშორისო კონგრესის დღეებში იმყოფებოდა.

ქართველ კაცს ბევრი აქვს საამაყო. შენითაც ბევრჯერ გაუხარია. სადაც კი გაგზავნა, გამარჯვებული დაბრუნებულხარ. რომელი ერთი ჩამოვთვალო — ლუბლიანი თუ ბრიუსელი, სოფია თუ ბრატისლავა, ბუქარესტი თუ ბუდაპეშტი, ყველგან ოქრო-ვერცხლით დაიმშვენე მკერდი. ყველას ვერ ჩამოვთვალი, მაგრამ ზოგს მაინც ვიტყვი: საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ ერთხელაც რომ დაგასახელონ. რაოდენ სასიხარულოა, „წინანდალი“ კი რვაჯერ ცნეს გამარჯვებულად. სამჯერ ოქრო არგუნეს. ხუთჯერ ვერცხლი; „ნაფარეული“ 4 ოქროსა და 1 ვერცხლის პატრონია, „ტიბაანი“ კი ერთი ოქროსი და 4 ვერცხლისა; „ხვანჭკარასა“ და „ქინძმარეულს“, ტყუპი ძმებივით, ორორი ოქროსა და სამ-სამი ვერცხლის მედალი აქვთ მოპოვებული, „თელიანს“ მკაცრმა ჟიურიმ სამჯერ არგუნა ოქროს მედალი, ოთხჯერ კი ვერცხლისა. ოქრო-ვერცხლის მედლები მრავალგზის მოუპოვებიათ „გურჯაანს“, „მუხრანულს“, „მანავს“, „ბახტრიონს“, „ჩხავერს“, „ტვიშს“, „ახმეტას“, „უსახელაურს“, „საღხინოს“.

როდესაც ქართული ღვინის ქებას ვამბობთ, ქართული კონიაკისა და შამპანურის საქებარიც უნდა ვთქვათ. მათაც ხომ არაერთგზის ვუსახელებივართ. დახედეთ კონიაკ „თბილისის“ ეტიკეტს და ნახავთ, რომ იგი ექვსი ოქროსა და ერთი ვერცხლის მფლობელია, „გრემს“, „ვარძიას“, „ვარციხეს“ და „ძალიან ძველს“ ერთად მოპოვებული აქვთ 12 ოქროს მედალი.

ქართული ღვინის სადღეგრძელო, რომელიც საახალწლოდ მსოფლიოს 11 ქვეყანაში გაიგზავნა, მინდა ერთი ძველი მეღვინის სიტყვებით დავამთავრო: ღვინოს, როგორც ყოველ ადამიანს, თავისი სამშობლო აქვს. მასში მშობლიური ადგილების სითბო და სურნელებაა ჩაქსოვილი. ალბათ ამიტომაც არის ჩვენებური ღვინო ასეთი დღეგრძელი და მადლიანი.



დილა

ჩვენი სტუმარია ჟურნალი „დილა“

მახარობლები

თითქოს ერთბაშად აჟღერდა
ულამაზესი ჰანგები:
გუდასტვირი და ფანდური
ჩონგურები და ჩანგები...
გამოიხედეთ, შეხედეთ, —
ხურჯინებით და აბგებით —
გაღიმებულნი მოდიან
ჩვენი კეთილი პაპები.
მოდიან, მოაქვთ საჩუქრად
ფოჩებიანი „კაკები“,
ცინცხალ-ცინცხალი ლექსები,
ფერად-ფერადი ზღაპრები...

გივი ძნელაძე

ყირამალა

● ახალი წლის წინა ღამეს ბაჭბაჭა დათუნიამ ტყიდან ასეთი შეკითხვები გამოუგზავნა ზარმაც-კოკოს — თუ გამოიცნობ, საახალწლო თაფლს არ მოგაკლებო.

ზარმაც-კოკომ იფიქრა, იფიქრა და აი, რა მიუხატა შეკითხვებს.

ბავშვებო, აბა, დააკვირდით, ხომ არ ცდება ზარმაც-კოკო?!

გრეტა ჩანტლაძე



1. — ვინ არის ყველაზე ეშმაკი? — ვინ და...



2. — ვინ დარაჯობს საქათმეს? — ვინ და...




3. — ვინ არის ყველაზე ღონიერი? — ვინ და...



4. — ვინ გვაღვიძებს დილით? — ვინ და...

5. ვინ არის ყველაზე ჩერჩეტი? — ვინ და...



ეპემალი და ისვი

— რას აჩაღებ, მამალო?
— ცეცხლს.
— რას მოხარშავ, ფრთამალო?
— კვერცხს.
— მერე?
— ჩავიკოკლოზინებ ყელს.
შემოვძახებ:
ვაშა, ახალ წელს!

კუკური გოგიაშვილი

ჩიტო, შენს პირს შაქარი!

უსტვენს ჩიტი ჩიტუნას:
— გუნდაობა ვის უნდა?
თოვლი, თოვლი მოსულა,
დაფარულა მთა-ბარი...
— ჩიტო, შენს პირს შაქარი!
— ჩიტო, შენს პირს შაქარი!

უსტვენს ჩიტი ღაბუას:
— მოდის თოვლის ბაბუა;
მოაქვს კოშში და ჩირი,
ჩურჩხელა და კაკალი...
— ჩიტო, შენს პირს შაქარი!
— ჩიტო, შენს პირს შაქარი!

იორამ ქემერტელიძე

გიორგი პაპუაშვილი

მზიას კაპა

ახალი წლის შესახვედრად ვემზადებით, — თქვა ლიამ.

— ჩვენც, — უპასუხა მზიამ, — ამაღამ თოვლის პაპა მოვა და მოგვილოცავს.

— თოვლის პაპა არა! — ტუჩი აიბზუა ლიამ, — თოვლის პაპა სითბოზე ხომ სულ ჩამოდნება.

— აბა, ნახე, თუ არ მოვიდეს.

— ვინ მოგატყუა. თოვლის პაპა კი არა, ჩემი კარგი პაპა გვილოცავს ხოლმე.

მზია დაღონდა, მას ხომ პაპა არა ჰყავს, — ოდესღაც დიდი სამამულო ომი ყოფილა, იქ წაუყვანიათ და ვეღარ დაბრუნებულა. ლიას კი ისეთი თეთრწვერა პაპა ჰყავს, რომ ყველას ეხარბება. სოფლიდან ჭრელი ხურჯინით ჩამოიტანს ხოლმე თხილსა და კაკალს, ვაშლსა და მსხალს, კომშსა და ბროწეულს. ხურჯინის ცალ თვალში ხილი ალაგია, მეორეში — ინდაური და ქათამი, შოთის პურები და ნაზუქები.

მზია მოწყენილი დაბრუნდა შინ. დედა გოზინაყს აკეთებდა, ბებია ქათამს ფუფქავდა, მამა კი ღორის თავს ასუფთავებდა.

ალექსი და ავთანდილიც იქვე ტრიალებდნენ, ყური ცქვიტად ეჭირათ და რასაც მშობლები დაავალებდნენ, ყველაფერს აკეთებდნენ. ხან იქით გარბოდნენ და ხან აქეთ.

— მეც მოგეხმარებით. — თქვა მზიამ.

— შენ აქ მოდი და ცხვირწინ დამიჯექი, ხელებში მიყურე, — უთხრა მამამ, — შენი მოხმარებაც ეს იქნება.

მზიას გაუხარდა. ასე ხშირად ეტყვის ხოლმე მამა. ისიც მივა და ფისოსავით წამოსკუპდება სკამზე. თან მამას შესციცინებს და თან ათას რამეზე ეტიტინება. ახლაც ძველებურად მოიკალათა მამის წინ. მამის ღონიერ ხელებს დააცქერდა. მერე ვეება მკლავებს შეავლო თვალი, მერე — განიერ მხარ-ბეჭს მიაჩერდა.

— მამა, პაპა არ დაბრუნდება ომიდან? — მოულოდნელად შეეკითხა მზია.

მამამ მხრები აიჩეჩა.

— არ ვიცი, შვილო... შეიძლება დაბრუნდეს.

— ჩვენ ვინ უნდა მოგვილოცოს ახალი წელი?

— ვინა და... თოვლის პაპამ.

— ლიამ თქვა, არ მოვაო.

— ლიამ რა იცის!

— სითბოზე დადნებაო.

მამამ გაიცინა, ღორის თავი ყურით შეატრიალა.

— ჩვენთან ისეთი თოვლის პაპა მოვა, სითბო ვერაფერს დააკლებს. აი, ამაღამ ხუ დაიძინებ და ნახავ!

— არ დავიძინებ, დედას გეფიცები, არ დავიძინებ.

— მაშინ ახლავე დაიძინე, რომ ახალწლის დადგომამდე გაგეღვიძოს...

— კარგი, დავიძინებ.

მზია მეორე ოთახში გავიდა და თავის საწოლში ჩაგორდა. ერთ ხანს ლოგინში იწრიალა და ბოლოს, როგორც იყო, ჩაეძინა. მაშინღა გაეღვიძა, ალექსიმ ტაში რომ შემოჰკრა და დაიძახა:

— ოცი წუთიღა აკლია, ვაშაა!

— თოვლის პაპა ხომ არ მოვიდა?! — იკითხა შემკრთალმა მზიამ.

— ჯერ არა, ოცი წუთიღა აკლია. ჩქარა ადექი, თორემ ლოგინში მოგისწრებს! — გასძახა ალექსიმ.

მზია ფაციფუცით წამოხტა და ძმებთან გავიდა.

— მამა სად არის?

— მეზობლებმა დაუძახეს.

მზიას ცოტა არ იყოს ეწყინა, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

— თოვლის პაპა ნამდვილად მოვა? — ჰკითხა ძმებს.

— მოვა, — მიუგო ალექსიმ.

— ლიამ თქვა, არ მოვაო.

— იმან რა იცის.

— თოვლის პაპა სითბოზე დადნებაო!

— ჩვენთან ისეთი თოვლის პაპა მოვა, რომ სითბო ვერაფერს დააკლებს, — გაიღიმა ავთანდილმა.

და-ძმანი გულისფანცქალით შეჰყურებდნენ საათს. ალექსი კი ხმამაღლა ითვლიდა.

— თხუთმეტი წუთიღა აკლია... თორმეტი... ათი... რვა... სუთი... აი, საცაა, დააკაკუნებს თოვლის პაპა.

ამ დროს მართლაც გაიღო კარი და ოთახში თოვლივით გათეთრებული ბერიკაცი შემოვიდა. ცალი ხელით ყავარჯენს ებჯინებოდა, მეორეთი სინი ეჭირა. სინზე კი რა აღარ ეწყო: თხილი და კაკალი, ვაშლი და მსხალი, კომში და ბროწეული, ქათამი და გოზინაყი...

— მომილოცავს ახალი წელი! — თქვა ბოხი ხმით მოხუცმა, სინი მაგიდაზე დადგა. ბავშვებს სათითაოდ ჩამოურიგა ტკბილეული და გულიანად გადაკოცნა: — ასე ტკბილად დამიბერდით! გამრავლდით და გაიხარეთ!

მზიამ თავით ფეხებამდე შეათვალიერა თოვლის პაპა და მამის შარვალი შეიცნო, მერე სახეზე დააკვირდა და თეთრი ულვაშების ქვეშ შავ ულვაშებსაც მოჰკრა თვალი, თვალებიც სწორედ მამასავით უცინოდა.

— თოვლის პაპავ, შენ ვინა ხარ? — ჰკითხა მზიამ.


— თოვლის პაპა ვარ, შვილო...

— არა ხარ თოვლის პაპა. შენ ჩემი პაპა ხარ. ხმა არ ამოიღო, ჩემი პაპა ხარ. ყოველ ახალ წელს მოდი ხოლმე და ასე მოგვილოცე.

ალექსის და ავთანდილს ფხუკუნი აუტყდათ. მზიამ კი უკან აღარ დაიხია:

— ხმა არ ამოიღო. შენ ჩემი პაპა ხარ, ყოველ ახალ წელს მოდი ხოლმე და მოგვილოცავ!

— კი, შვილო, შენი პაპა ვარ, ყოველ ახალ წელს მოვალ და მოგილოცავ.



საახალწლო მოთხრობა



ძვირფასო მკითხველებო! გთავაზობთ მხიარულ საახალწლო ხუთჯიდს. შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის მოვიწვიეთ საქართველოს სახალხო მხატვარი. პროფესორი კორნელი სანაძე, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვენორი ქვაჩახია, საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი ჰადრაკში- ნანა ალექსანდრია, მწერალი ნოდარ დუმბაძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი რამაზ ჩხიკვაძე.

ხუთჯიდის ჟიურის წევრობა თქვენ უხდა გთხოვოთ, ძვირფასო თანამემამულენო! თქვენთვის მოგვინდია შეჯიბრების მონაწილეთა პასუხების შეფასება ხუთბალიანი სისტემით. ერთ საიდუმლოსაც გაგანდობთ — ამ დიდ პაექრობაში არავინ გამოვა დამარცხებული — ხუთივე მონაწილისათვის დაწესებულია 5 პრიზი. პრიზების შერჩევასაც თქვენ განდობთ, ძვირფასო თანამემამულენო!

მაშ ასე, მრჩელით თქვენს ბარათებს შეჯიბრების შედეგებსა და პრიზის შეხორცების თაობაზე.


1


2


3


4


5

ხუთჯიდი

ჟიურის წევრებს ვთხოვთ იყვნენ ოგიეჭტურნი

1. მოიგონეთ რეკლამა მინერალური წყლისათვის „ბორჯომი“.
2. გაიხსენეთ რომელიმე არაჩვეულებრივი შემთხვევა, რომელიც გადაგხდათ ან შეიძლება გადაგხდომოდათ ახალი წლის ღამეს.
3. დახატეთ თოვლის პაპა ნაძვისხესთან.
4. დაწერეთ ლექსი შემდეგ რითმებზე: იდილია-წისქვილია, ფარჩა-ყანჩა, ჩინარი-ფირალი, გეცინება-გეძინება, ოხრად-ოხვრა, არა მქონია-მელანქოლია.
5. რომელ ახალ წელიწადს გინდათ ხელმეორედ შეხვდეთ და რატომ?

ვიწყებთ შეჯიბრებას. სტარტზეა ნანა ალექსანდრია.

I. ნანა ალექსანდრია


3.

1. დალიე და შეგერგება,
   სულ დალიე, დალიე.
2. მოსაგონარი ისეთი, რომ სხვაც დააინტერესოს, ჯერჯერობით არაფერი მაქვს...
4. ასეთი ტვირთი რად შემაწერეთ,
   მხოლოდ თამაშში არ მიყვარს ოხვრა,
   ლექსს მე არა ვწერ, და თუ დავწერე
   მაშინ ჰადრაკი დამრჩება ოხრად.
5. ყველას, რომელიც წინა წელიწადზე უკეთესი იქნება.

II. ნოდარ დუმბაძე

1. ბორჯომის მინერალურ წყალს არავითარი რეკლამა არ სჭირდება. ისედაც მშვენიერი რეკლამა აქვს, მხოლოდ ჩემი აზრით, ავადმყოფობათა იმ სიას, რომლებსაც ბორჯომი არჩენს, საჭიროა დამატოს კიბო და ინფარქტი.
2. განსაკუთრებული არაფერი გადამხდენია, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, 1941 ახალ წლის ღამეს სრულწლოვანი რომ ვყოფილიყავი, დღევანდელი ახალი წელი სულაც არ გამთენებოდა.



4. წინათ რომ არა მქონია
   ახლა მაქვს მელანქოლია,
   ცალ ფეხზე დგას წყალში ყანჩა,
   როგორც თეთრი კაბის ფარჩა,
   მინდორში დგას ჩინარი,
   ეფარება ფირალი,
   არის ღამის იდილია,
   საფქვავს ღერღავს წისქვილია,
   გულს მოაწვა დარდი ოხრად
   და აღმომხდა მწარე ოხვრა,
   ვიცი, ახლა გეცინება,
   მაგრამ მაინც გეძინება.
5. გასულ ახალ წელს. მაშინ მხოლოდ 40 წლის ვიყავი და არავითარ ხუთჯიდებში არ ვმონაწილეობდი.

III. რამაზ ჩხიკვაძე

1.



2. ყველაზე არაჩვეულებრივად 1970 წელს ვხვდები — პირველად ჩემს სიცოცხლეში ლექსი დავწერე.

3.



4.

შესავალი

ლექსის წერა დამავალეს,
რითმა მომცეს ოხრად,
ამ საქმისთვის არ ყარგივარ,
ორი დღეა ვოხრავ.
იქნებ რაღაც მოვიფიქრო
რითმა მექცეს ფარჩად,
თორემ დარდით ჩამოვხმები,
გადვიქცევი ყანჩად.

ლირიკა

ყველამ იცის, იდილია
გურიაში წისქვილია:
შენ რომ ტკბილად გეძინება
მეწისქვილეს ეცინება.
ტკბილ ღიღინში სიზმარს ხედავ,
მზეს გიჩრდილავს ჩინარი,
გაიღვიძებ და რას ხედავ;
სიმინდს გიფქვავს ფირალი.

ფინალი

ამ ლექსის დამწერს,
რა დაგიმალოთ,
თურმე მქონია
მელანქოლია.

5. სიამოვნებით შევხვდებოდი იმ ახალ წელიწადს, როდესაც ჩემთვის თოვლის პაპას საჩუქრები მოჰქონდა.

IV. ვენორი ქვაჩახია

1. „არ იღვრებოდეს არც ერთი ბოთლი ბორჯომის წყალი“! — რაც, სამწუხაროდ ასე არ არის!
2. ომის წლებში, ერთ-ერთი სტუდენტური საახალწლო შეხვედრის შემდეგ მილიციის განყოფილებაში მოვხვდი. როცა ყველაფერი გაირკვა, აღმოჩნდა, მილიციელს შეცდომა მოსვლოდა! — სამწუხაროდ, ასეც ხდება! (ისე კი შეიძლებოდა უარესიც გადამხდომოდა!)
3. ხატვა, სამწუხაროდ, სულ არ ვიცი! ამიტომ გადავწყვიტე ჩემი პატარა გოგონა — ქეთინო დავიხმარო...
4. ჩემისთანა უნიჭო პოეტიც კი ამგვარ რითმებზე ლექსის წერას ითაკილებდა, თუმცა, სამწუხაროდ, ზოგჯერ ასეთ ლექსებსაც შევხვდებით!
5. 1966 წლის ახალ წელიწადს, მამაჩემთან ერთად უკანასკნელად გატარებულ ახალ წელიწადს, რაც, სამწუხაროდ, არ განმეორდება.




V. კორნელი სანაძე

1. ვერავინ ვერ გჯაბნის,
   ვერც გჯობნის
   თუ შესვი ბორჯომი.
   რეკავენ,
   რეკავენ,
   რეკავენ:

— გვიშველეთ,
გვიშოვეთ!
. . . . . !
ე, ბოშო,
რად უნდა რეკლამა!

2. არაჩვეულებრივი ამ წელიწადს მელის;
   ღვინო ბევრი მაქვს, მაგრამ...
   ეს პირველი წელიწადია, როდესაც სადღეგრძელოს ვიტყვი
   და ღვინოს ვერ დაველევ!....
4. არა მქონია
   მელანქოლია.
   (ოხვრად ვვეყოფა,
   რაც დარჩა ოხრად).
   არც მეცინება,
   არც მეძინება
   არც არავისთან
   მსურს ქედის მოხრა.
   როგორც ფირალი

3.



ზარმაცი მხატვრის საახალწლო სიზმარი.

ჩრდილი ჩინარის
ტალღას მივყვები
ვით უჩინარი...
წინ წისქვილია
და იდილიად
დგას თეთრი ყანჩა.
დგას თეთრი ყანჩა
და ჩვენ ორს დაგვრჩა
ამ ღამის ფარჩა...

5. 1995 წლის პირველ იანვარს. რატომ?

ამ დროს მეც პაბლო პიკასოსავით 98 წლისა ვიქნები და მინდა მაშინ ჩავიცვა კომანო, რათა ძეუდოს ჩემპიონის შავი ქამარი მოვიპოვო. ამას, ვფიქრობ, ჩემს ორმაგ კოლიგაზე — მხატვარსა და პოეტ პაბლო პიკასოზე უკეთ მოვახერხებ, რადგან სარმის გამოდებას ბავშვობიდან ვარ ჩვეული.

წერილი ოჯახს



ალექსანდრე ბესტავაშვილი ბრიტანეთის მოქალაქეა და ლონდონში ცხოვრობს. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი, სპეციალობით მშენებელი ინჟინერია.

შვილები მამის კვალს არ გაჰყოლიან: უფროსი — მერი ინგლისური ენის მასწავლებელია, საშუალო — გოგი მუსიკალურ განათლებას იღებს, ხოლო უმცროსი — ქრისტინე, რომელიც ახლა 18 წლისაა, ხელოვნების ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტია.

ბატონი ალექსანდრე სამშობლოსთან კავშირს არ წყვეტს, იგი სამჯერ იყო საქართველოში. აქედან ერთხელ, 1965 წელს, მთელი ოჯახით ჩამოვიდა. 85 წელს მიღწეული დედა, რომელიც გორში ცხოვრობს, ყოველთვის მოუთმენლად ელის შვილის სტუმრობას.

და აი ამ დღეებში კვლავ ეწვია ალექსანდრე ბესტავაშვილი გორს, თბილისსაც ესტუმრა, ჩვენთან, რედაქციაშიც შემოიარა.

საუბარში ბატონმა ალექსანდრემ ერთი ასეთი „საიდუმლო“ გაგვანდო. — ორმოცი წელიწადია ქართული ზამთარი არ მინახავს, მშობლიურ ჰერკვეშ არ შევხვედრივარ ახალ წელიწადს, და ახლა ეს ოცნებაც აღვისრულე. ცოცხლდება გავშვობის სურათები: ნაძვისხე, გოზინაყი, ჩურჩხელა, დედას პური... იცით, რა გედნიერებაა — ისევ იმ ოთახში მძინავს, სადაც დავიბადე, გავშვობა გავატარე.

შემდეგ წერილი გადმოგვცა და გვთხოვა, გაზეთში გამოაქვეყნეთ, ვინაიდან იანვრის ბოლომდე შეიძლება აქ დავრჩე და მინდა ჩემს მეუღლეს — თორას და შვილებს ახალი წელიწადი „სამშობლოს“ ფურცლებიდან მივულოცოთო!

სიამოვნებით ვასრულებთ ბატონ ალექსანდრეს თხოვნას.

BESTAVASHVILI

11 micheldever road. London, S. E. 12

სალამი ჩემო საყვარელო თორა, მერი, გოგი და ქრისტინე!

გილოცავთ ახალ წელიწადს, გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და მიზნების განხორციელებას. ვწუხვარ, ერთად რომ ვერ ვხვდებით პირველ იანვარს, მაგრამ იმედი მაქვს, არ მოიწყენთ და მეგობრებთან ერთად მხიარულად შეხვდებით ახალი წლის მობრძანებას.

თქვენი სიშორე, თორემ ახლა ყველაზე ბედნიერი კაცი ვარ ქვეყნად. იმ ახალი წლიდან, რომელსაც მე უკანასკნელად გორში, ჩემს ოჯახში შევხვდი, 40 წელიწადი გავიდა და აი ყველაფერი მეორდება. განმეორება განმეორებას გააჩნია, — ახლა ყველაფერი უფრო ლამაზია, უფრო მდიდარი, უფრო ბრწყინვალე. ეს არის დედა ძალზე მოხუცდა და მეც თმა გამიჭაღარავდა, თორემ სხვა ყველაფერი ზღაპრულ სიზმარს წააგავს...

ყოველდღე, ყოველ წუთს ვეხვევი დედის კალთას, ჩვენ კეთილ ნათესავებთან ერთად ვსინჯავ ეზოს ღვინის ჭაშნიკს, საათობით ვესაუბრები დიდი ხნის უნახავ მეგობრებს. ვიცი, ჩემი ბედნიერება თქვენი საახალწლო სურვილია და მინდა გითხრათ: ბედნიერი ვარ, ძალზე ბედნიერი!

დედას ეწყინა, თქვენ რომ არ ჩამოხვედით, მაგრამ ავუხსენი გარემოება, ვუთხარი, რომ საქმითა და სწავლით ხართ დაკავებული და ისიც დამშვიდდა. ეს კი არის, პირობა ჩამომართვა, მომავალში ყველანი ერთად ჩამოდითო. მეც დავპირდი, ვიცი ქართველ ბებიასთან შეხვედრა თქვენც გაგახარებთ.

აქ თქვენი ყოფნის შემდეგ ძალიან ბევრი ცვლილება მომხდარა: გორი კიდევ უფრო დამშვენდა, თბილისის ქუჩებში კი ისეთი მოძრაობაა, როგორც ლონდონში. ადამიანებს, რომლებმაც თქვენ აქ ყოფნისას აღტაცებაში მოგიყვანეს, ძალზე მოხდენილად, გემოვნებით აცვიათ.

მამიდა ანა, მისი შვილები ვაჟა და ნუგზარი მოკითხვას გათვლიან. თქვენი ბიძაშვილები გოგი, გულანი, ვახტანგი და ირინე ახალ წელიწადს გილოცავენ. რომ იცოდეთ, როგორ მოუთმენლად ელიან ეს ცელქები თოვლის პაპასთან შეხვედრას. ახალ წელიწადს გილოცავთ დედაჩემი — თქვენი ბებია მარიამი, ლოცვას გიგზავნით — ორი ჩემი ხნისა მოიყარენითო.

ყველა ნათესავი, გორში თუ ატენში მცხოვრებნი, მოკითხვას გითვლიან.

მალე შეხვედრამდე.

თქვენი მოსიყვარულე მამა
ალექსანდრე ბესტავაშვილი

26/12-69 წელი, გორი.

1969 წელს...

ჯა, მიიწურა შენებისა და შემოქმედების, ბედნიერებისა და გამრავლების კიდევ ერთი წელიწადი.

წლეულს უთვალავმა ნაგებობამ გაიდგა საძირკველი, დაიდგა ჭერი.

ბაღს ბაღი მიემატა, ზვარს ზვარი.

დაწყვილდნენ ქალიშვილები და ჭაბუკები.

დაიბადნენ პატარა მამულიშვილები.

ეს წელიწადი ბევრი სიკეთის მომტანი იყო. 1969 წელს სხვა მრავალთა შორის:

● პიანისტი გოგონა ნინო ჭირაქაძე გამოჩენილი პორტუგალიელი კომპოზიტორისა და პიანისტის ვიანა და მოტას სახელობის ლისაბონის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი გახდა;

● სარგის ცაიშვილმა დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია“ და ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის წოდება მოიპოვა;

● თბილისის ბაქტერიოლოგიური სადგურის უფროსს სიმონ ქიქოძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა;

● აშენდა თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს სახლი.

ვახტანგ ჩხუმიანის ფოტო




ნინო ჭირაქაძე



სარგის ცაიშვილი

კვლავ წარმატება

აუსიპის მოყვარულნი კარგად იცნობენ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პირველკურსელ ლექსო თორაძეს. ჯერ კიდევ ხუთი წლის წინათ მან დიდი წარმატება მოიპოვა „ამიერკავკასიის მუსიკალურ გაზაფხულზე“, შემდეგ — ბულგარეთში, ქართული კამერული მუსიკის კვირეულზე. წლეულს მაისში ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსში, რომელიც ერევანში გაიმართა, პირველი ადგილი დაისაკუთრა. ახლახან კი ლექსო თორაძეს ტალინში პიანისტთა მესამე სრულიად საკავშირო კონკურსში ჟიურიმ მეექვსე ადგილი მიაკუთვნა.




სიმონ ქიქოძე

დიდი მსახიობის ხსოვნას

მარჯანიშვილის სახელობის თეატრში გაიმართა გამოჩენილი მსახიობის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის შალვა ღამბაშიძის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

სიტყვით გამოვიდა კრიტიკოსი ბესარიონ ჟღენტი, მოგონებებით გამოვიდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი იაკობ ტრიპოლსკი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თამარ თეთრაძე. პეტრე კობახიძის ლექსი, მიძღვნილი შალვა ღამბაშიძისადმი წაიკითხა დამსახურებულმა არტისტმა ბადრი კობახიძემ.

სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვერიკო ანჯაფარიძემ წარმოთქვა ივდითის მონოლოგი გუცკოვის პიესიდან — „ურიელ აკოსტა“, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ტარიელ საყვარელიძემ წაიკითხა შუანგ ჩხეიძის ლექსი „ჩვენი თაობა“ (ეს ლექსი შუანგ ჩხეიძემ მარჯანიშვილის სახელობის თეატრის 10 წლისთავის იუბილეს მიუძღვნა). სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვასო გოძაშვილმა წარმოთქვა „შესანდობარი“ — რეჩიტატივი თბილისური ფოლკლორიდან. საღამოზე მოისმინეს შალვა ღამბაშიძის ხმის ჩანაწერები სხვადასხვა სპექტაკლიდან, აჩვენეს ნაწყვეტები კინოფილმებიდან „დარიკო“, „ქეთო და კოტე“ და „ჭრიჭინა“, რომლებშიც მონაწილეობდა აწ განსვენებული დიდი მსახიობი.



თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველო.

სპორტული ქრონიკა

□ ადრე გაზაფხულიდან მოყოლებული გვიან შემოდგომამდე მიმდინარეობს საქართველოს პირველობა ფეხბურთში. პირველ ჯგუფში, სადაც 19 გუნდი გამოდიოდა, ყველას აჯობა ვანის „სულორმა“, რომელმაც 51 ქულით საქართველოს ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა. ამ გუნდმა ორი ქულით გაუსწრო ისეთ ძლიერ მეტოქეებს, როგორიც არიან თბილისის „სინათლე“ და ცხაკაიას „ჰოლხეთი“. მეორე ქვეჯგუფში გაიმარჯვეს თბილისის „ისანმა“ და თერჯოლის „იმერეთმა“. ისინი 1970 წელს რესპუბლიკის პირველობაზე პირველ ჯგუფში ითამაშებენ.

□ ზუგდიდსა და წალენჯიხაში გაიმართა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა მრგვალ სტენდზე ადგილიდან სროლაში. ცეცხლის ხაზზე გამოვიდნენ ზუგდიდის, წალენჯიხის, ბათუმის, მახარაძისა და ქობულეთის რაიონთა სპორტსმენები.

ზუგდიდში თავი ისახელეს ნასპინძლებმა. პირველი ადგილი დაისაკუთრა სპორტის ოსტატმა შეროზიამ, მეორე — სპორტის ოსტატმა ქირიამ, მესამე — სპორტის ოსტატმა ნარმანიამ.

წალენჯიხაში პირველი ადგილი ხვდა სპორტის ოსტატობის კანდიდატ თოფურიას.

□ ცხინვალს ესტუმრა და ადგილობრივ „სპარტაკთან“ ამხანაგური მატჩი გამართა უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა ორჯონიკიძის „სპარტაკმა“. ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს სტუმრებმა.

□ სოხუმში დამთავრდა ქალაქის თასის გათამაშება ფეხბურთში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ნორჩი „დინამოსა“ და „შრომითი რეზერვების“ გუნდები. გაიმარჯვა „დინამომ“.

□ გულრიფშში გაიმართა საქართველოს ზონალურ შეჯიბრებებში გამარჯვებული გუნდების მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ გულრიფშის „ნარინჯოვანი“ და ბოლნისის ნაკრები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 1:0.

□ კიდევ ორი დამარცხება იგემეს თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებმა. ამჯერად მათ მოსკოველმა თანაკლუბელებმა და მოსკოვის ცსკამ აჯობეს. სსრ კავშირის 1969 წლის თასის მფლობელის უღიმღამო სტარტი სპორტის მოყვარულთა გულისტკივილს იწვევს.

□ სსრ კავშირის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა დაამტკიცა 1969 წელს საბჭოთა კავშირის უძლიერესი ჩოგბურთელი ვაჟებისა და ქალების სია. ვაჟთა ათეულში პირველია ალექსანდრე მეტრეველი.

□ ამ დღეებში სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონს, საერთაშორისო ოსტატატ ნანა ალექსანდრიას გადასცეს ჰოლანდიის საჭადრაკო ფედერაციის მიწვევა. ნანამ იგი სიამოვნებით მიიღო და 10 იანვარს ჰოლანდიაში გაემგზავრება. ბეევრვიიკის ქალთა ტურნირში, რომელშიც ტრადიციულად მხოლოდ 9-10 მონაწილეა, თითქმის ყველა გამორჩენილ მოჭადრაკეს უთამაშია.

□ ასპინძის რაიონის პირველობაზე შაშში, რომელშიც 46 კაცი მონაწილეობდა, პირველ ადგილზე გამოვიდა სოფელ ნაქალაქევის მკვიდრი დავით მაისურაძე.

□ დონის როსტოვში გაიმართა საკავშირო შეჯიბრება ხელბურთში გოგონებისათვის, რომელთა ასაკი 16 წელს არ აღემატება. იმარჯვეს ფოთელმა ხელბურთელებმა და შინ ოქროს მედლები ჩამოიტანეს.

□ მინსკში გაიმართა ამხანაგური შეხვედრა წყალში ხტომაში საქართველოსა და ბელორუსიის გუნდებს შორის. გაიმარჯვეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა.

□ ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდის უფროს მწვრთნელად დანიშნულია სპორტის ოსტატი ალეოშა კოტრიკაძე.

საჩასაღლო ცილცვა



ძვირფასო თანამემამულენო!

სპორტსმენო ძმებო!

გილოცავთ ახალ, 1970 წელს!

ფრთები შესხმოდეს თქვენს ოცნებებსა და სურვილებს.

იყავით მარად ჯანსაღნი და ბედნიერნი.

მუდამ გქონდეთ მახვილი თვალი, მტკიცე გული, მაგარი მუხლი.

გწყალობდეთ ფორტუნა!

მიხეილ მესხი,

სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ჭადრაკი

ვიქტორ გოგლიძის მემორიალი

თბილისის საერთაშორისო ტურნირი, რომელიც გამოჩენილ ქართველ მოჭადრაკე ვიქტორ გოგლიძის ხსოვნას მიეძღვნა, გულშემატკივართა დიდ ინტერესს იწვევს.

საერთაშორისო ოსტატი ბუხუტი გურგენიძე ამ ტურნირში დიდოსტატის წოდების მოსაპოვებლად საჭირო ქულებისათვის (10 ქულა) იბრძვის. მან ჩინებულად წარმართა შეჯიბრების პირველი ნახევარი — სძლია მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მიხეილ ტალს, დიდოსტატებს ანატოლ ლეინს, რატმირ ხოლმოვს, ედუარდ გუფელდს. ახლა ბუხუტი გურგენიძეს დარჩენილი 5 პარტიიდან 2,5 ქულა სჭირდება დიდოსტატის წოდების მოსაპოვებლად. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ მალე პირველი ქართველი დიდოსტატის დაბადების მოწმენი გავხდებით. აგე, საყოველთაო აზრით, იმსახურებს კიდეც ამ წოდებას.

საქართველოს ჩემპიონ რომან ჯინჯიხაშვილს საერთაშორისო ოსტატის წოდების მისაღებად ამ ტურნირში 7 ქულის მოგროვება სჭირდება. ტურნირის პირველი ნახევარი მან აღმავლობით წარმართა. სამწუხაროდ, უკანასკნელი 3 მარცხის შემდეგ მის ოცნებას საფრთხე ემუქრება.

კარგად დაიწყო ტურნირი კიევიდან თბილისში საცხოვრებლად გადმოსულმა დიდოსტატმა ედუარდ გუფელდმა, რომელიც ერთი პერიოდი სათავეშიც ედგა მოთამაშეთა ცხრილს. მაგრამ გურგენიძესთან უკანასკნელ შეხვედრაში წაგებული პარტიის შემდეგ 6 ქულით მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონს მიხეილ ტალს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ პირველ ხანებში გაუჭირდა ერთბაშად ჩამდგარიყო სპორტულ ფორმაში. მაგრამ ბოლო შეხვედრებში მან გააუმჯობესა თამაში და პრიზიორთა რიგებში ჩადგა.

10 ტურის შემდეგ 7,5 ქულით პირველ ადგილზეა ბუხუტი გურგენიძე, 7 ქულა მოაგროვა დიდოსტატმა ჰორტმა (ჩეხოსლოვაკია).

ბრძოლა ვიქტორ გოგლიძის მემორიალზე დღითიდღე ცხარდება.

სპორტული ხელიწყდი



გიორგი სიხარულიძე,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე

◆

3 აცილებით 1969 წელს და უკვე დამკვიდრებული ტრადიციით სპორტული სამყაროც აჯამებს შედეგებს.

წლეულსაც დიდი გამარჯვებებით შეივსო მისი მატიანე.

ნონა გაფრინდაშვილი მესამედ ავიდა ჭადრაკის დედოფლის ტახტზე.

ნიჭიერმა მოჭადრაკე გოგონამ ნანა ალექსანდრიამაც მესამედ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა.

მერე ნონამ და ნანამ მოსკოველ ალა კუშნირთან ერთად მსოფლიოს გუნდური თასი ჩამოიტანეს ლუბლინიდან.

სულ ახლახან ჭადრაკის დედოფალი გამარჯვებული გამოვიდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა ტურნირში.

გვასახელეს ქართველმა მოჭიდავეებმა...

27 წლის თბილისელმა ინჟინერმა, მეხიკოს ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონმა რომან რურუამ მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალი დაისაკუთრა კლასიკურ ჭიდაობაში და „სამგზის ჩემპიონთა“ ოჯახი დაამშვენა. ომარ ბლიაძემ ამავე შეჯიბრებაზე სამშობლოში ვერცხლის მედალი ჩამოიტანა.

თავისუფალი სტილის მოჭიდავე ზარბეგ ბერიაშვილი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, შოთა ლომიძე ევროპის ჩემპიონი, ტარიელ ალიბეგაშვილი და ნოდარ ხოსპაშვილი მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორები არიან.

სპეციალისტები და სპორტის მოყვარულები დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს ახალგაზრდა ფალავნის, 22 წლის გივი ონაშვილის წარმატებებს, რომელმაც ახლახან ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა ძიუდოისტთა მსოფლიო პირველობაზე.

წლეულს არც ძალოსნებს შეურცხვენიათ თავი...

შტანგისტმა დიმიტრი შანიძემ მესამე ადგილი დაისაკუთრა მსოფლიოს პირველობაზე.

ოლიმპიური ჩემპიონი სოხუმელი მძლეოსანი ვიქტორ სანაევი ევროპის პირველობაზე კლავ უძლიერესი იყო სამმაგ ხტომაში.

მძლეოსანმა გოგონამ ვარდო ქუთათელაძემ სლოვაკიის ქალაქ კოშიცედან (სადაც გაიმართა ევროპის რკინიგზელ სპორტსმენთა ჩემპიონატი) ორი მედალი ჩამოიტანა — ოქროსა და ვერცხლისა.

დიდ იმედებს ვამყარებთ ნორჩ ტანმოვარჯიშეებზე — ბათუმელ რუსუდან სიხარულიძესა და თბილისელ ამირან ნოზაძეზე. მათ წლეულს ბევრჯერ ისახელეს თავი როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო შეჯიბრებებზე და საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებში დამკვიდრდნენ.

ლენინგრადში „ჰაბუკ დარტანიანთა“ ასპარეზობაში უძლიერესი დაშნით მოფარიკავის სახელი დაიმკვიდრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტმა იასე სიხარულიძემ.

წლეულს კლავ მოიპოვა საბჭოთა კავშირის პირველი ჩოგბურთელის სახელი თბილისელმა ალექსანდრე მეტრეველმა. მისი ახალგაზრდა თანაგუნდელი თეიმურაზ კაკულია კი ოქროს მედლის მფლობელია წყვილთა შეჯიბრებაში.

ტოკიოსა და მეხიკოს ოლიმპიადების პრიზიორი შოთა ქველიაშვილი ევროპის ჩემპიონი გახდა ტყვიის სროლაში.

ვეტერანთა სპორტის ოსტატმა ომარ ფხაკაძემ მოიგო საბჭოთა კავშირის პირველობა, საკავშირო თასი, ტულის დიდი პრიზი, ქალაქების მატჩი, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ პირველობა, მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედალი.

ახლახან საბჭოთა კავშირის უძლიერეს ტრამპლინიდან მხტომელთა ტურნირში ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი ბაკურიანელი კობა წაქაძე კვლავ გაიმარჯვებულის კვარცხლბეკზე ავიდა.

თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებმა, რომლის შემადგენლობაში არიან ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრები ზურაბ საკანდელიძე და მიხეილ ქორქია, საბჭოთა კავშირის თასი მოიპოვეს.

ფეხბურთის წლევანდელი სეზონი თბილისის „დინამოს“ წარმატებით აღინიშნა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ „დინამო“ საბჭოთა კავშირის პირველობის ბრინჯაოს პრიზიორია, არამედ იმითაც, რომ საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების წარმატებაში, რომელმაც უკვე გაინაღდა მეხიკოს მსოფლიო პირველობის საგზური, დიდი წვლილი შეიტანეს მურთაზ ხურცილავამ და რევაზ ძოძუაშვილმა, კახი ასათიანმა და გივი ნოდიამ.

ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელები გაისადაც უძლიერესთა ჯგუფში იქნებიან, ხოლო გორის „დიღა“ „ა“ კლასის მეორე ჯგუფში იასპარეზებს.

ჩვენმა ახალგაზრდა ფეხბურთელებმა წლეულს ზედიზედ მეორედ მოიპოვეს „სიჭაბუკის თასი“. თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოსთან არსებულმა სპორტკლუბ „სინათლეს“ ფეხბურთელთა გუნდმა მოიგო საკავშირო თასი.

ეს, რა თქმა უნდა, არ არის 1969 წლის სპორტულ მიღწევათა სრული ნუსხა.

წლევანდელი მიღწევების ნიაღვარი გრანდიოზულია და ასეა ყოველთვის.

ქართველი სპორტსმენები არიან ქვეყნის, კონტინენტისა თუ მსოფლიოს ჩემპიონები და პრიზიორები.

აბათილებენ ძველს და ამყარებენ ახალ რეკორდებს.

მათი სახელები იცის მსოფლიოს სპორტულმა სამყარომ.

ისინი არიან ძალზე ბევრნი, ძლიერნი. და ეს შემთხვევითი არ გახლავთ.

დღეს ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია.

ვილაპარაკოთ ციფრების ენით...

რესპუბლიკის 6.828 ფიზკულტურის კოლექტივში 1.134.173 სპორტსმენი არის გაერთიანებული, რაც საქართველოს მოსახლეობის 24,2 პროცენტს შეადგენს.

საქართველოში სპორტის 48 დამსახურებული მოღვაწეა და 90 სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის 56 და საქართველოს 240 დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის 14, საკავშირო კატეგორიის 301 და რესპუბლიკური კატეგორიის 1.250 მსაჯი.


საერთაშორისო კლასისა და საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატების მთელი არმია გვყავს და მათი რიცხვი 10 ათასს აჭარბებს.

დიდია სპორტულ ნაგებობათა ქსელი...

ჩვენთან 104 სტადიონია, 557 კომპლექსური სპორტული ნაგებობა, ფეხბურთის — 1.985, კალათბურთის — 3.165, ფრენბურთის 6.371, ჩოგბურთის 121 მოედანი, 809 სპორტულ-ტანვარჯიშული დარბაზი, 58 საცურავი აუზი...

აი ფუძე ჩვენი სპორტის მასობრიობისა, წარმატებისა და მსოფლიო აღიარებისა.

ახლა, როდესაც კარზე მოგვადგა 1970 წელი, გვჯერა, რომ მასაც ტრიუმფით გაივლიან ქართველი სპორტსმენები, რომლებიც გულმოდგინედ ემსახურებიან საბჭოთა კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადისა და მიუნხენის XX ოლიმპიური ასპარეზობისათვის.



თბილისის სპორტის სასახლე ღამით.

გივი კიკვაძის ფოტო

საახალწლო სუფრა



ახალ წელთან საზეიმო შეხვედრა ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ტრადიციაა. ქართველები ამ დღესასწაულისათვის სპეციალურ ტკბილეულს — გოზინაყს ამზადებენ. არც ერთი ოჯახი ახალ წელიწადს უგოზინაყოდ არ შეხვდება.

ქართველი ხალხი უძველეს დროიდან დიდ ყურადღებას აქცევდა ცხოვრების ესთეტიკურ მხარეს. ამის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს სუფრის გაშლაც, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს ქართველების გემოვნებასა და შინაგან კულტურაზე.

ყველა ოჯახი წინასწარ ემზადება საახალწლო ზეიმისათვის და სურს გულუხვად გაუმასპინძლდეს სტუმარს. მოხდენილად გაშლილი სუფრა, გემრიელად მომზადებული და ლამაზად გაფორმებული კერძი ადამიანს კარგ გუნებაზე აყენებს.

სადღესასწაულო სუფრას განსაკუთრებით აშვენებს საინტერესო და მომხიბვლელი საუბარი, თავდაჭერილობა და თავაზიანობა. საქართველოში დიდ პატივსა სცემენ სტუმარს და ყველასათვის ცნობილია, რომ სტუმრის კარგი მიღება დამოკიდებულია არა მარტო კერძებისა და სასმელების მრავალფეროვნებასა და ხარისხზე, არამედ დამსწრე საზოგადოების საერთო ხასიათზე.

სუფრას რომ სადღესასწაულო იერი მიეცეს, აუცილებელია თეთრი გადასაფარებელი და ყვავილები. სუფრის შნო და ლაზათი დიდად არის დამოკიდებული დიასახლისის გემოვნებაზე, ჭურჭლეულისა და საჭმლის განლაგებაზე.

სასადილო მაგიდა ოთახის ცენტრში უნდა დავდგათ. მაგიდას ჯერ დააფარეთ მუშამბა, ფანელი ან სხვა რომელიმე რბილი ქსოვილი. შემდეგ გადაფარეთ გულმოდგინედ დაუთოებული, ზომიერად გახამებული თეთრი გადასაფარებელი. საღამოს ჩაიზე შეიძლება გამოვიყენოთ ფერადი გადასაფარებელიც. სასურველია ხელსახოცები საფრის ფერისა და ქსოვილის იყოს.

თეფშები ერთმანეთთან მჭიდროდ არ უნდა ეწყოს. თითოეულ მეინახეს დაუდგით ორი ან სამი თეფში, ერთი მცირე ზომისა — საუზმისათვის, რომელზეც სწორკუთხედად ან სამკუთხედად დაკეცილი ხელსახოცი დაიდება. თეფშის მარჯვენა მხარეს იდება დანა და თუ სადილია, კოვზიც, მარცხენა მხარეს — ჩანგალი. დანის ალესილი მხარე მიქცეულია თეფშისაკენ, ჩანგლისა და კოვზის ჩაზნექილი მხარე—ზევით.

ყოველი თეფშ-მოწყობილობის წინ უნდა იდგეს სხვადასხვა ზომის ორი-სამი ჭიქა (შეიძლება მეტიც). ჭიქების წინ მოთავსდება საჩაროზე დანა-ჩანგალი და კოვზი, გვერდით კი სამარილე. ყოველი 4-5 კაცის წინ უნდა დაიდგას სურნელოვან-სანელებლიანი ჭურჭელი (მდოგვი, ტყემლის საწებელა, პირშუშხა და სხვა).

რამდენსამე ადგილას მოთავსებული დაბალი ლარნაკი ცოცხალი ყვავილებით და ლამაზად გაწყობილი ხილით საუკეთესო სამკაულია სუფრისათვის.

ღვინოს სუფრაზე მივიტანთ დოქებითა და სურებით. ამასთან ერთად მივიტანთ სხვადასხვა სიდიდის ბადიებს, თასებსა და ყანწებს. შამპანური, გაზიანი სასმელი და მინერალური წყალი მიიტანება ბოთლებით.

პური თხელ ნაჭრებად უნდა დაიჭრას და მოთავსდეს სუფრაზე საგანგებო საპურეთი ან პატარა თეფშებით. ცხელი მჭადი საჭიროა დაიჭრას ან დაიტეხოს. ღომი მომცრო თეფშებით მიიტანება თითოეული მეინახისათვის.

საუზმეული კერძები უნდა ჩავაწყოთ ისე, რომ ყველასათვის ადვილად მისაწვდომი იყოს. ისინი ლამაზად უნდა მოვრთოთ მწვანილის ღეროებით, ხახვით, ბროწეულით, ნიგვზიანი კერძი—ნიგვზიდან გამოხდილი ზეთით.

სუფრაზე თავიდანვე დაიწყობა სხვადასხვა მწვანილეული. სუფრას სადღესასწაულო იერს აძლევს ლამაზად გაფორმებული ნაირ-ნაირი სალათა, მხალეული, თევზეული, თხლად დაჭრილი ყველი. სუფრის ცენტრში ლანგარზე მოთავსებული შემწვარი გოჭი (მთლიანი სახით) — ჭორფა მწვანილითა და დამწნილებული ბოსტნეულით მოკაზმული, შამფურზე შემწვარი მთლიანი სულუგუნი და ცხელი ხაჭაპური. ქართულ სუფრას უხდება ინდაურის საცივი.

სუფრის ნამდვილი მშვენებაა შამფურზე წამოგებული მწვადი მთლიანი სუკისა ან ღორის ხორცისა (საახალწლოდ ღორის ხორცი უფრო უხდება), რომელიც ლამაზად უნდა დავაწყოთ ლანგარზე და მჭვრთოთ ხახვით, ბროწეულით... ეფექტურია, თუ ლანგარზე დაწყობილ მწვადს შემოვუწყობთ რამდენსამე გულამოცლილ სპირტით სავსე წითელ დიდრონ ბოლოკს, როცა მწვადიანი ლანგარი სუფრასთან მიგვაქვს, ოთახში შუქი უნდა ჩავაქროთ და ცეცხლი მოვუკიდოთ ბოლოკში ჩასხმულ სპირტს.

მაგიდაზე თავიდანვე უნდა გვქონდეს ჩირი ლამაზი ლარნაკით, ჩურჩხელა, ტკბილეული, გოზინაყი, ლამაზად დაჭრილი ქადა, სხვადასხვა ნამცხვარი და მურაბა (კაკლის, ბადრიჯნის, საზამთროსი, ვარდისა და სხვა).

და, ბოლოს, სუფრაზე მივიტანთ ჩაისა და შავ ყავას, ლიმონს, ლიქიორს, კონიაკსა და რომს.

თამარ სულაქველიძე

გოზინაყი

გარჩეული ნიგოზი (ერთი კილოგრამი) დაყარეთ ცხელ ტაფაზე, დადგით ცეცხლზე და ოდნავ მოხალეთ. მოხალული ნიგოზი მჭრელი დანით წვრილად დაჭერით.

ერთი კილოგრამი თაფლი ჩაასხით ტაშტში (თითბრის, უკეთესია მურაბის ტაშტი), დადგით ცეცხლზე, ნელნელა ადუღეთ და თან ხის კოვზით ურიეთ. როცა თაფლის წვეთი წყალში ჩაწვეთებისას გამაგრდება (დიდხანს არ ადუღოთ, თორემ გოზინაყი მუქი ფერისა გამოვა), თაფლში ჩაყარეთ წინასწარ მომზადებული ნიგოზი. ხის კოვზის შეუწყვეტელი მორევით ხარშეთ, სანამ გოზინაყი კარგ მოშუშულ გემოს არ მიიღებს.

შემდეგ სველ ცომის ფიცარზე გადმოიღეთ, ასევე სველი კოვზით შეასწორეთ და გააბრტყელეთ 1 სანტიმეტრის სიმაღლეზე. როცა შეგრილდება, დაჭერით რომბის მსგავს პატარა ნაჭრებად.


თუ გსურთ გოზინაყი მაგარი და ფხვიერი გამოვიდეს, ხარშვისას შეურიეთ ნახევარი ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი.

გოზინაყი შეიძლება მომზადდეს თხილისა ან ნუშისაგან. თუ გოზინაყს ნუშისაგან გააკეთებთ, მოათავსეთ ძალიან ცოტა ხნით მდუღარე წყალში, მოაშორეთ კანი, შემდეგ ოდნავ გააშრეთ, დათალეთ მჭრელი დანით და მოხალეთ. დანარჩენი — ჩვეულებრივ.

ქართული სამზარეულო



საქახალწლო იუმორი



ან დამაძინეთ,
ან დამპატიჟეთ!

უსიტყვოდ.
გიგლა ფირცხალავა.

მოუსმინეთ საქართველოს!

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოჰერცი. მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოჰერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირადღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოჰერცი.

თენგიზ სამსონაძის ნახატი.

დაგეძებენ, მოგელიან

ვალერიან პართენის ძე შერაზადიშვილს,

დაბადებულს 1919 წელს ონის რაიონის სოფელ ონჩეშში ეძებენ და-ძმა **ვარა** და **ესტატე შერაზადიშვილები,** მცხოვრებნი თბილისში, ვაჟა-ფშაველას ჩიხი № 3.

ძმებს ნიკოლოზ და გრიგოლ ალექსანდრეს ძე ჯანელიძეებს,

დაბადებულთ 1912 და 1922 წლებში, ამბროლაურის რაიონის სოფელ ნიკორწმინდაში, ეძებს დედა — **ბაბილინა დიმიტრის ასული ჯანელიძე,** მცხოვრები ნიკორწმინდაში.

სილოვან სამსონის ძე ქოქოსაძეს,

დაბადებულს 1907 წელს, ამბროლაურის რაიონის სოფელ ჭელიაღელაში, ეძებს მეუღლე — **ანასტასია ალექსანდრეს ასული ჯანელიძე,** მცხოვრები ჭელიაღელაში.

მიხეილ აბრამის ძე გატაშვილს,

დაბადებულს 1915 წელს თბილისში, ეძებს დედა — **დორა მათეს ასული ხატიანოვა-გატაშვილი,** მცხოვრები თბილისში, მცხეთის ჩუჩა № 3.

მიხეილ ივანეს ძე თაგვაშვილს,

დაბადებულს 1921 წელს ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფელში. ეძებს და — **მარიამ თაგვაშვილი,** მცხოვრები ბორჯომის რაიონის სოფელ ახალდაბაში.

რედაქტორი
ვახტანგ ესვანჯია

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი, გიორგი ათონელის ქუჩა № 25.

66488

ფასი 5 კაპ.